პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 111 (11722)
ხუთშაბათი
12
მაისი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ც ნ ო ბ ა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 1960 წლის 13 ივლისს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავს **მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხს.** ამ საკითხზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოისმენს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კ. მ. გერასიმოვის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ს. სენინის, ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. გაილეს, კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. პ. ფ. ლომაკოს, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლ. ე. გრაფოვის, ყარაღანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბ. ფ. ბრატჩენკოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. ი. კოსტოუსოვის, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის შედუღების ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ბ. ე. პატონის მოხსენებებს.

რით უპასუხეთ თქვენ სესიის გადაწყვეტილებებს?!..

ეს ახალი პატრიოტული თაოსნობაა

ვ. პაპინაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხარატმა, რომელიც ჩარხთან დგას, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, იცის, რომ, რასაც ქმნის, ქმნის სამშობლოსათვის, ხალხისათვის, საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისათვის. ამიტომ აქვს მის შრომას ასეთი ხვავი და ბარაქა, ამიტომ ასე კაშკაშებს მისი იმედის ვარსკვლავი.

ეს იმედია, ძალას რომ მატებს, გზას რომ უნათებს ქართველ ელმავალმშენებელს ვასილ პაპინაშვილს, და განა მარტო მას — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მთელ კოლექტივს. ამიტომ იყო, რომ თბილისელმა ლოკომოტივშემკეთებლებმა გაბედულად თქვეს, ძველის შეკეთება რა ბედენაა, ჩვენ შეგვიძლია ახალი ელმავლები დავამზადოთო. ეს აზრი მოიწონეს. ლოკომოტივშემკეთებლები ელმავალმშენებლები გახდნენ. ახალი საწარმოს მშენებლობისათვის დიდი ხარჯების გაუწევლად სამშობლომ მიიღო მძლავრი რვაღერძიანი ქართული სამაგისტრალო ელმავლები. ახლა ჩვენს ქვეყანას სჭირდება ცვლადი დენის ერთფაზიანი ელმავლები. ქართველ ელმავალმშენებლებს იმედი აქვთ, რომ ასეთი ელმავლები დღეს თუ არა ხვალ მაინც გავლენ მათი ქარხნის ალაყაფის კარიდან.

ხალხი ამბობს, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, და მით უმეტეს შრომაში. მთავარი სწორედ ის არის, რომ ცხოვრებას მარტო არ ეჭიდები, მხარში გიდგანან ამხანაგები, მეგობრები, მთელი კოლექტივი. მშრომელი კაცისათვის დაუცხრომლად ზრუნავენ მშობლიური კომუნისტური პარტია და მთავრობა. ეს ერთხელ კიდევ ცხადად დადასტურდა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, რომელმაც მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების თაობაზე. ვასილ პაპინაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები ამ გადაწყვეტილებებში ხედავენ საამურ ხვალინდელ დღეს და დამკლავებული მუშაობენ, რომ ამ დღეს ახალი ფერი და ბრწყინვალება შემატონ.

ვასილი გრძნობს, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელი კაცი დღეს ცხოვრების მაღალ კიბეზე დგას. მაგრამ ამ კიბეზე ერთბაშად როდი ადიან.

და აი ახლა, როცა კიდევ ერთ ოცნებას შეესხა ფრთები, როცა თბილისელმა ელმავალმშენებლებმა კიდევ ერთხელ ნათლად იგრძნეს მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველი ხელი, ვასილი ახალმა ფიქრმა მოიცვა.

„რაც გაკეთდა, ჩვენი გამრჯე მარჯვენით, ჩვენი შრომით გაკეთდა“, — ფიქრობდა იგი. მაგრამ კიდევ მრავალი რამ არის განსახორციელებელი. მას და მისი ამხანაგების შრომას შეუძლია კიდევ ბევრი ოცნება აქციოს სინამდვილედ.

• • •

...ერთ დღეს, როცა მისმა ბრიგადის წევრებმა თავი მოიყარეს საამქროში და უკვე მუშაობას უნდა შესდგომოდნენ, მან დაკვირვებით შეათვალიერა ყველა მათგანი, თითქოს პირველად ხედავსო.

— ბიჭებო, ცოტა ხანს დასხედით, ერთი ფიქრი მაქვს და ერთად გადავწყვიტოთ...

არ გაუცრუვდა იმედი ვასოს. მისი ბრიგადის წევრებმა ზინკლებმა რ. წამალაშვილმა, შ. ხელაშვილმა, პ. კობალაძემ და გ. პაპინაშვილმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ბრიგადირის ჩანაფიქრს. **გადაწყვიტეს გასწიონ ნედლეულის მტკიცე ეკონომია, შეამცირონ თვითღირებულება, დანერგონ რამოდენიმე რაციონალიზატორული წინადადება და ამის საფუძველზე დაზოგონ იმდენი თანხა, რაც გადაამეტებს მთელი ბრიგადის წლიურ გამომუშავებას, ესე იგი ხელფასი მიიღონ საკუთარი დანაზოგიდან.**

ეს დაპირება ლიტონი სიტყვები როდია. ბრიგადის წევრებმა წლის დასაწყისიდანვე ჩაუყარეს საფუძველი ამ ვალდებულების შესრულებას. დღეისათვის ბრიგადა უკვე ნოემბრის ანგარიშში მუშაობს და დაზოგილი აქვს დაახლოებით 15 ათასი მანეთი. ფიქრი არ არის: კომუნისტური შრომის ბრიგადა პირნათლად გაანაღდებს ახალ ვალდებულებას. ეს მხოლოდ მათზე, მათს შრომაზეა დამოკიდებული, ხოლო ჩვენში, სადაც მშრომელი კაცი მუდამ გრძნობს მეგობრის მხარს, მთელი საზოგადოების მხარდაჭერას, არც ერთი ზღუდე გადაულახავი არ დარჩება.

შ. ცირეკიძე,
ა. ხუჭუა.

ფინეთის სამრეწველო გამოფენა

10 მაისს მოსკოვში, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა ფინეთის IV სამრეწველო გამოფენა.

გამოფენის საზეიმო გახსნას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. თ. ზასიადკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და სხვა ოფიციალური პირები.

გამოფენის გახსნაზე იყვნენ აგრეთვე ფინეთის მთავრობის დელეგაცია ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ახტი კარიალაინენის მეთაურობით, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ეერო ა. ვუორი, ფინეთის ბევრი სამრეწველო და სავაჭრო ფირმის მფლობელები და დირექტორები.

(საქდესი).

პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ა. ა. გრომიკოს განცხადება

აგრესიის აქტი, რაც 1 მაისს ჩაიდინა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა, რომელიც ჩამოგდებულ იქნა სვერდლოვსკის რაიონში, იყო თემა პრეს-კონფერენციისა, რომელიც 11 მაისს მოიწვია მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. პრეს-კონფერენციაში, რომელიც გაიმართა შეხვედრების კლუბში მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 500 საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტმა.

კორესპონდენტთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ამხანაგებო,

ბატონებო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 7 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილია მოეწყოს სპეციალური პრეს-კონფერენცია, რათა მასზე ვუჩვენოთ ამერიკის იმ სამხედრო თვითმფრინავის აღჭურვილობა, რომელიც შემოიჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში 1 მაისს დივერსიულ-სადაზვერვო მიზნებით 2 ათას კილომეტრზე მეტ სიღრმეზე და რომელიც ჩამოაგდეს საბჭოთა რაკეტულმა ჯარებმა სვერდლოვსკის რაიონში. ჩვენ აქ მოგიწვიეთ იმისათვის, რომ შეძლოთ პირადად ნახოთ ყოველივე ეს, აგრეთვე აღნიშნული თვითმფრინავის ნაშთები და დარწმუნდეთ, თუ რა ბანდიტური საშუალებებით მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატები, როცა პროვოკაციას უწყობენ საბჭოთა კავშირს. როგორც ცნობილია, ეს პროვოკაცია ჩაიდინა თვითმფრინავმა, რომლის მუდმივი ბაზა იყო ჩვენი მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე აეროდრომი. თურქეთის გარდა, ამერიკის სამხედრო ავიაციის ამ აგრესიული აქტის თანამონაწილეები არიან პაკისტანი, საიდანაც დამრღვევი თვითმფრინავი შემოიჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში, აგრეთვე ნორვეგია, სადაც იგი უნდა დამჯდარიყო თავისი დავალების დამთავრების შემდეგ.

ფაქტიური მონაცემები, რომლებიც საბჭოთა მთავრობას აქვს, არავითარ ეჭვს არ ტოვებენ, რომ ამერიკის პასუხისმგებელი ორგანოები, რომლებმაც თვითმფრინავი გამოგზავნეს ჩვენი საზღვრების ფარგლებში, მოქმედებდნენ აგრესიის მომზადების ინტერესებისათვის მშვიდობის საქმისადმი მტრული მიზნებით.

თქვენ იცით, რომ ამ დივერსიის ორგანიზატორები, რომელიც განხორციელდა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის წინ, ჩიხში მოექცნენ უცილობელი ფაქტებით, რომლებიც გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს მოუხდა საჩქაროდ უარეყო დასაწყისში ნაჩქარევად შეთითხნილი ვერსია, თითქოს უწყებას, რომელმაც ურალში ჩამოგდებული სამხედრო თვითმფრინავი გამოგზავნა, აინტერესებდა [illegible] მხოლოდ ამინდის მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის კავკასიის რაიონში. ამ ყალბმა ვერსიამ ორ დღესაც ვერ გაუძლო და მის გამომგონებლებს არაფერი არ მოუტანა, გარდა სირცხვილისა მთელი მსოფლიოს წინაშე.

ამიტომ სახელმწიფო დეპარტამენტი იძულებული იყო 7 მაისს გაეკეთებინა მეორე განცხადება, რომელშიც აღიარა, რომ თვითმფრინავი სსრ კავშირის ტერიტორიაზე გაიგზავნა სადაზვერვო სამხედრო დავალებით. მაგრამ, ფაქტიურად ხელი მოაწერა რა იმას, რომ ამერიკის თვითმფრინავის ფრენა აგრესიულ მიზნებს ისახავდა, და ცინიკურადაც კი განაცხადა რა, თითქოს ამგვარი მოქმედება წარმოადგენს „ნორმალურ მოვლენას“, სახელმწიფო დეპარტამენტი კვლავ ცდილობდა მოეხსნა პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის და ამტკიცებდა, თითქოს ვაშინგტონის ხელისუფალთ „არ მიუციათ ნებართვა“ ასეთი ფრენისათვის. სახელმწიფო დეპარტამენტის ამ განცხადებას შესაბამისი კვალიფიკაცია მიეცა საბჭოთა მთავრობის დღეს გამოქვეყნებულ ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

ახლა გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების მესამე ოფიციალური განცხადება იმავე საკითხზე — სახელმწიფო მდივნის ჰერტერის განცხადება. ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელის ამ განცხადების დასახასიათებლად სიტყვა ცინიკურიც კი მეტისმეტად რბილი იქნებოდა.

მართლაც, შეხედეთ, რას აცხადებს ჰერტერი.

იმოწმებს რა იმას, რომ საბჭოთა კავშირს „მაგრად აქვს დაკეტილი და ხისტიკ კონტროლს უწევს“ თავის საზღვრებს და არ მიიღო ამერიკის გეგმა „ღია ცის“ შესახებ და სხვა ამგვარი წინადადებანი, რომლებიც ემსახურებოდნენ ამერიკის დაზვერვის ინტერესებს, ჰერტერი ცდილობს გაამართლოს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პროვოკაციული მოქმედება საბჭოთა კავშირის მიმართ. თურმე, ჰერტერს არა სურს „დაეთანხმოს“ იმას, რომ საბჭოთა თავდაცვის საიდუმლოებანი მიუწვდომელია პენტაგონისათვის. აქედან აკეთებენ საოცარ მოურიდებელ დასკვნას ამერიკის პოლიტიკისათვის — დაარღვიე მოურიდებლად სხვისი საზღვრები, იფრინე სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, ამრავლე აგრესიული აქტების რიცხვი! ხოლო თუ ეს არ მოსწონთ სხვა სახელმწიფოებს, ასეთი მოქმედება ახსენი იმით, რომ ამას მოითხოვენ „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული თავდაცვის საჭიროებანი“. და სახელმწიფო მდივანმა საჭიროდაც კი მიიჩნია განემარტა, რომ, თურმე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს თავისი მთავრობის საქმიანობის დასაწყისიდანვე მიუცია მითითება შეეგროვებინათ „ყველა შესაძლო საშუალებით“ სამხედრო ინფორმაცია სხვა სახელმწიფოთა შესახებ, მათ შორის უცხო სახელმწიფოთა საჰაერო სივრცეში თვითმფრინავების „შეღწევის გზით“, ვიმეორებ ამ სიტყვებს — „შეღწევის გზით“.

ყურადღებას იქცევს ის, რომ, როგორც ეს ჰერტერის განცხადებიდან ჩანს, ყოველი ცალკეული ფრენის შესასრულებლად, მსგავსად საბჭოთა საჰაერო სივრცეში შემოჭრისა 1 მაისს, საჭიროც კი არ ყოფილა პრეზიდენტის განსაკუთრებული ნებართვა — საკმარისია საერთო დირექტივა, რომელიც მოქმედებაშია შემოღებული რამდენიმე წლის წინათ. ამრიგად, შეერთებული შტატების მთავრობამ ფაქტიურად პენტაგონსა და ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ორგანოებს მისცა მოქმედების თავისუფლება ისეთ საკითხებში, რომლებზეც შეიძლება დამოკიდებული იყოს, იქნება მშვიდობა თუ ომი.

ჰერტერის განცხადებამ კვლავ დაადასტურა, რომ სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, ჯაშუშობა და დივერსიები ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცხადებულია სახელმწიფო პოლიტიკად.

სულ რამდენიმე დღის წინათ კი დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ლინდონ ჯონსონმა, პარტიისა, რომელსაც უმრავლესობა ჰყავს ამერიკის შეერთებული შტატების სენატში, განაცხადა, რომ „თუ ოდნავი შესაძლებლობა იქნა დამტკიცდეს, თვითმფრინავის გაფრენა წინასწარ განზრახული შეჭრა იყო ჩვენი მხრივ, მაშინ პასუხისგებაში უნდა მივცენ იმისათვის, რომ ჩვენ ეს დავუშვით უმაღლესი დონის თათბირის წინ და საერთოდ დამოუკიდებლად ამისა“. და აი ახლა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი აშკარად აცხადებს, რომ ასეთი დანაშაულობრივი მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაა, და ცდილობს ეს მოქმედება გაამართლოს იმით, რომ, თურმე, სსრ კავშირის საზღვრები მაგრად არის ჩაკეტილი. რას იტყვიან ახლა სენატორი ჯონსონი და ისინი, ვინც იზიარებს მის აზრს ამერიკის შეერთებულ შტატებში?

განა არ მოგვაგონებს ასეთი საქციელი საერთაშორისო ასპარეზზე ყაჩაღის საქციელს, რომელიც შეიჭრა სხვის სახლში და როცა დაიჭირეს, ცდილობს თავისი მოქმედება იმით გაამართლოს, რომ სახლი დაკეტილი იყო და იქ ისე ვერ შევიდოდა თუ არ გატეხდა კარს.

ცნობილია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სახელმწიფოს ტერიტორიის, მისი ტერიტორიული წყლებისა და მის ტერიტორიაზე საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობა. ეს პრინციპი დადასტურებულია მთელი რიგი ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილენი არიან ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ხელშეკრულებებით დადგენილია, რომ სპეციალური ნებართვის უქონლად არც ერთ სახელმწიფო თვითმფრინავს არ შეუძლია იფრინოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან დაჯდეს იქ. იგივე პრინციპი ასახულია ყველა სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ კანონმდებლობაშიც. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ორჯერ — 1928 და 1938 წლებში — გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სარგებლობენ სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტით საჰაერო სივრცეში შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ანალოგიურ დებულებებს შეიცავს სსრ კავშირის საჰაერო კოდექსიც, რომელშიც დადგენილია, რომ სსრ კავშირს ეკუთვნის სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტი სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო კანონი, ყოველი სახელმწიფოს კანონი.

ამრიგად, საქმე ეხება სსრ კავშირის ტერიტორიული ხელშეუხებლობის წინასწარ განზრახულ დარღვევას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავების მიერ, რაც საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით აგრესიის აქტია.

საკითხავია — რა საფუძველზე მიაჩნია შესაძლებლად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ხელყოს სხვა სახელმწიფოთა საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობა? როგორ ეგუება ასეთი პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოთა მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას? სახელმწიფოები რომ იმ გზას დასდგომოდნენ, რომელსაც ახლა ვაშინგტონი ურჩევს, მაშინ სახელმწიფოთა ურთიერთობაში კანონი შეიცვლებოდა უკანონობით, წესრიგი და სამართალი — თვითნებობით და ყაჩაღობით.

ასე რომ იქცევიან, ამერიკის შეერთებული შტატები ტალახში სვრიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელსაც მათ სხვა სახელმწიფოებთან ერთად საქვეყნოდ მოაწერეს ხელი 15 წლის წინათ.

საკითხავია, რაა განსხვავება სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დარღვევის პოლიტიკასა, რომელსაც ახლა აცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში, და იმ პოლიტიკას შორის, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის წინ ქადაგებდა ზოგიერთი სახელმწიფო, ვისაც სხვა ქვეყნების ტერიტორია მიაჩნდა აგრესიის ობიექტად „საკუთარი ეროვნული უშიშროების საჭიროებათა“ საბაბით.

რომ არ ყოფილიყო სხვა რამ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში, რაც ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს, რომ მარტო ცნობილი გამხდარიყო პოლიტიკა, რომლის მიზანია კონფლიქტების შეგნებული პროვოცირება ამერიკის ავიაციის აგრესიული მოქმედების გზით, უკვე მარტო ეს დააყენებდა საბჭოთა ადამიანების წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე, აგრეთვე თვით ამერიკელების წინაშე, ამ პოლიტიკას როგორც ისეთს, რომელიც უხეშად ეწინააღმდეგება ხალხთა უძლეველ მისწრაფებას მშვიდობისადმი.

სამართლიანად შენიშნა ამერიკულმა გაზეთმა „უოლ სტრიტ ჯორნელმა“, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს დიდი საფრთხე და რომ აქ საქმე მარტო ჯაშუშობა როდია. „ჯაშუში, — ამბობს გაზეთი, — ვერ გამოიწვევს რაკეტების გამოყენებას საპასუხო ღონისძიებად. თვითმფრინავს, შეუიარაღებელსაც კი, შეუძლია გამოიწვიოს ასეთი მოქმედება“. და მართლაც, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული ხელშეუხებლობის პროვოკაციული დარღვევა ცეცხლთან თამაშია, ომის ზღვარზე ბალანსირების ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა.

ასეთ დაუპატიჟებელ სტუმრებს ჩვენ შევხვდებით ისე როგორც მუდამ ხვდებოდა აგრესორებს საბჭოთა ხალხი, და თვითმფრინავებისაგან, რომლებიც გაბედავენ კვლავ შემოიჭრან ჩვენი საზღვრების ფარგლებში, დარჩება მხოლოდ ნამსხვრევები—მსგავსად იმისა, რასაც თქვენ დღეს აქ ნახავთ. იმათ კი, ვინც თავიანთ ტერიტორიას ბაზად აძლევენ თვითმფრინავებს, რომლებიც არღვევენ ჩვენს საზღვრებს, დაე იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ამგვარი პროვოკაციების გამეორების შემთხვევაში შეძლებს უვნებელყოს ეს ბაზები.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ამტკიცებს თითქოს ამერიკის თვითმფრინავების პროვოკაციული შემოჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში არა თუ ზიანს არ მიაყენებს უმაღლესი დონის მომავალ თათბირს, არამედ ხელსაც კი შეუწყობს თათბირზე გადაწყვეტილებათა მიღებას მშვიდობის განსამტკიცებლად. ჭეშმარიტ მოულოდნელზე უფრო უცნაური ლოგიკა! შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებს უმაღლესი დონის თათბირის ამოცანად მიაჩნიათ არა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება, არამედ ის, რომ განიხილონ, თუ დაზვერვის რა ყველაზე სრულყოფილ მეთოდებს გამოიყენებენ თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები ერთი მეორის წინააღმდეგ და საერთოდ ყველაზე ეფექტიანი რა საშუალებებია იმისათვის, რომ წაიჩხუბნენ და კიდევ უფრო გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება.

უნდა ითქვას, რომ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ აგრეთვე საფრანგეთში, ინგლისში და თვით შეერთებულ შტატებში არსებობს სულ სხვა შეხედულება უმაღლესი დონის თათბირის ამოცანების შესახებ. და თუ ზოგი ვინმე ვაშინგტონში ლაიბნა პოლიტიკაში, გამოსავალი თითქოს იმით კი არ უნდა იძებნოს, რომ კიდევ უფრო მეტად ლაიბნენ. თუ ვიხელმძღვანელებთ გულწრფელი მისწრაფებებით, რომ ბოლო მოეღოს „ცივ ომს“, ამოცანა, როგორც ჩანს, ის არის, რომ გზა გავუკაფოთ პატიოსან მოლაპარაკებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, საბჭოთა კავშირი პარიზის თათბირზე მიდის წმინდა გულით, კეთილი განზრახვებით და არ დაიშურებს ძალღონეს, რათა მიღწეულ იქნას ურთიერთ მისაღები შეთანხმება. საბჭოთა მთავრობა ახორციელებს მშვიდობის ნათელ და თანამიმდევრულ პოლიტიკას და თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებს, რათა გამონახოს სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრის შესაძლებლობანი. მაგრამ, რასაკვირველია, თათბირის წარმატება მარტო საბჭოთა კავშირზე როდია დამოკიდებული.

შემდეგ ა. ა. გრომიკომ და ექსპერტებმა უპასუხეს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების მრავალ შეკითხვაზე.

პრეს-კონფერენციის შემდეგ ყველა მისი მონაწილე წავიდა შენობაში, სადაც წარმოდგენილია დასათვალიერებლად ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის ნაშთები, მრავალი აპარატურა და აღჭურვილობა. ნივთიერი და დოკუმენტალური დამამტკიცებელი საბუთების ის გამოფენა უცილობლად მოწმობს ფრენის პროვოკაციულ, აგრესიულ მიზნებს.

ჩვენი ქართული ჩაი

გუშინ ჩაის პლანტაციებში



◆ **ზუგდიდელმა** მეჩაიეებმა მკვეთრად გააძლიერეს ჩაის კრეფის ტემპი. 11 მაისს მოკრიფეს 163.350 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშან კი ამ რიცხვისათვის მოკრეფილი ჰქონდათ 73.250 კილოგრამით ნაკლები. სულ რაიონში მოკრეფილია 450 ტონამდე ჩაის ნედლეული.

◆ **ხობი.** (საქ. კორ.). წელს საჯიჯაოელი კოლმეურნეები მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ 600 ათას კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 530 ათასი კილოგრამისა. ერთი დღის განმავლობაში კოლმეურნეობამ მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 1.200 კილოგრამი ფოთოლი.

კრეფაში კვლავ წინ მიდის ლენინის ორდენოსანი ქსენია კვალიშვილი. მან ერთ დღეს მოკრიფა **100 კილოგრამზე მეტი** ჩაი, გეგმა კი 15 კილოგრამის მოკრეფას ითვალისწინებს. ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატმა შარშან 0,8 ჰექტარი პლანტაციიდან 11 ტონა ჩაი მოკრიფა, წელს კი იგი სამშობლოს ამ ნაკვეთიდან 13 ტონა ნედლეულის მიღებას ჰპირდება.

ჩაის კრეფას შეუდგნენ აგრეთვე ნოჯიხევის სტალინის სახელობის, ძველი და ახალი ხიბულის კოლმეურნეობები და ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

◆ **წალენჯიხა.** (საქ. კორ.). წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ **ცუცუ კვარაცხელიამ** მოკრიფა 60 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი, გეგმა კი 10 კილოგრამს ითვალისწინებს. ამ კოლმეურნეობის მეჩაიემ **ბაბუცა მიქავამ** დღიური ნორმა სამმაგად შეასრულა.

სოფელ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა **ნათელა მანიამ** და **თინა ჭანტურიამ** ერთ დღეს 50-55 კილოგრამი ჩაი მოკრიფეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 კილოგრამისა.

ახალი პროდუქცია

წულუკიძე. (საქ. კორ.). რამდენიმე დღეა ჩაის პლანტაციებში მასობრივად გამოჩნდნენ თეთრქუდიანი მკრეფავები. ჩაის ფოთოლი საკრეფად უხვად შემოვიდა სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის, ქალაქის წულუკიძის და კალინინის სახელობის, კუხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. პირველ დღეს მოიკრიფა 700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, მეორე დღეს კი 800 კილოგრამი.

წულუკიძისა და გუბის ჩაის ფაბრიკებმა გადასამუშავებლად მიიღეს ჩაის ნედლეული.

მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

გ. თინაშვილის ბრიგადის წარმატება

წითელწყარო. (საქ. კორ.). როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მიმდინარე წლის იანვარში წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ამხ. გ. თინაშვილი სტუმრად იყო ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირთან, სოციალისტური შრომის გმირ ამხ. ნ. მანუკოვსკისთან. ქართველი მექანიზატორი გულდასმით გაეცნო მანუკოვსკის მუშაობის მდიდარ გამოცდილებას, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება მასთან და სხვა ვალდებულებასთან ერთად იკისრა მანუკოვსკის მაგალითისამებრ კომპლექსური მექანიზაციით დაამუშაოს 150 ჰექტარი სიმინდი და 70 ჰექტარი მზესუმზირა.

სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. თინაშვილი ხელმძღვანელობს, მონდომებით შეუდგა ნაკისრი ვალდებულების განაღდებას. ბრიგადამ შემჭიდროებულ ვადებში კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 200 ჰექტარი სიმინდი, რითაც თესვის ვალდებულება 50 ჰექტარის გადაჭარბებით გაანაღდა. შესრულებულია მზესუმზირას თესვის ნაკისრი ვალდებულებაც. სიმინდის თესვაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მექანიზატორმა გ. ნათობოვმა.

სიმინდი და მზესუმზირა აღმოცენდა. თვალს ახარებს სწორი კვადრატები. 10 მაისს ბრიგადამ დაიწყო მზესუმზირას პირველი კულტივაცია. მზესუმზირას სამოცდაათ ჰექტარიან ნაკვეთში კულტივაციას პირველი შეუდგა ს. ნათიბოვი. ის „ბელორუსის“ მარკის საკიდი კულტივატორით ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს.

დიდი ყურადღებით მოისმინეს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კ. მარქსის სახელობის არტელის მეჩაიეებმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე.

ფოტო პ. ლუცენკოსი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ქალაქი ხარაჩოებში

◇ **მშობლიური** კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში მიღწეულია დიდი წარმატებები როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, ისე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული მეხუთე სესიის გადაწყვეტილებანი მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ ერთხელ კიდევ ცხადყოფენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ამ ზრუნვას მშრომელები უპასუხებენ ახალი სასახელო საქმეებით, შვიდწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში მოპოვებული ახალი წარმატებებით.

როგორც ყველგან მთელ ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში, ისე ქართული მარგანეცის ქალაქ ჭიათურაშიც გაჩაღებულია დიდი მშენებლობები. ქალაქი ხარაჩოებშია. შენდება ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკები, მაღაროები, საცხოვრებელი კორპუსები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობები. წელს მშენებლობებზე 127 მილიონი მანეთი დაიხარჯება. მშენებელთა მთავარი ძალები და სახსრები პირველ რიგში მოხმარდება მთავარი ობიექტების მშენებლობას. ცნობილია, რომ 1960 წელს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ჩვენს ქვეყანაში გამოყოფილია 271 განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მშენებლობა, მათ შორის 24 ობიექტი საქართველოში, აქედან სამი ჭიათურაში. ეს ობიექტებია მაღარო „ახალი დარკვეთი", დარკვეთის გამამდიდრებელი ფაბრიკა და მაღარო „მღვიმევი-ხრამი".

ეს მდგომარეობა დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას, „ჭიათურმარგანეცის" და „ჭიათურმარგანმშენის" ტრესტის კოლექტივებს. ამის ღრმა შეგნებით დაიწყეს ჭიათურელმა მშენებლებმა მუშაობა შვიდწლედის მეორე წელს. პირველი კვარტალის შედეგები ცხადყოფს, რომ სამშენებლო ორგანიზაციებმა უკეთ მოაწყეს მუშაობა სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად. ტრესტ „ჭიათურმარგანმშენმა" პირველ კვარტალში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულა 100,1 პროცენტით. მათ შორის საკუთარი ძალებით მშენებლობისა — 105,2 პროცენტით, საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემისა — 115 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სამშენებლო სამუშაოთა გეგმა ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" ხაზით. გეგმების შესრულების საქმეში თავი გამოიჩინეს შახტმშენის, ბინმშენის სამშენებლო სამმართველოთა კოლექტივებმა.

აღნიშნული წარმატებანი იმის შედეგია, რომ პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან მშენებლობის ეკონომიკას, ძირითად ძალებს წარმართავენ მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე, აძლიერებენ ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობას, მეტად ზრუნავენ მშენებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. პარტორგანიზაციები საქმიანად იყენებენ პარტიული კონტროლის უფლებას, დღითიდღე აუმჯობესებენ მშენებელთა შორის პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას.

ამ მხრივ დადებით მაგალითს იძლევა შახტმშენის პარტორგანიზაცია (მდივანი ვ. გელოვანი), რომელმაც თავისი მუშაობა წარმართა მშენებელთა წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით. პარტორგანიზაციამ შექმნა კონტროლის 4 კომისია: მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, მასალების ეკონომიურად ხარჯვისა და თვითღირებულების შემცირების, მოწყობილობის სრულად გამოყენების და გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის. სამშენებლო სამმართველოს უბნები მუშაობას ეწევიან ქალაქის სხვადასხვა ადგილებში, ამიტომ კომისიები დაკომპლექტებულია ისე, რომ თვითეულ უბანზე არის კომისიის 1 ან 2 წევრი. აქტივის დახმარებით კომისიის წევრები ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს და აღწევენ მათ აღმოფხვრას.

შვიდწლედის მშენებლობები

ბინათმშენებლობის სამმართველოს პარტორგანიზაციამ (მდივანი ლ. გონჩაროვა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის ორგანიზაციისა და მშენებელთა ყოფაცხოვრების საკითხებს, რაც წინათ თავმინებებული იყო. პარტორგანიზაცია თავის საქმიანობაში კარგად იყენებს დარწმუნების მეთოდს, ზრდის აპარატის მუშაკთა და ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობას. თავის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს ახალგაზრდობის შრომითი ენთუზიაზმის გაზრდისათვის. ეს გასაგებიც არის, რადგან ახალგაზრდობა აქ მშენებლობის სული და გულია. პარტორგანიზაციის რჩევით მშენებლობის ხელმძღვანელობამ გაბედულად დააწინაურა უბნების უფროსებად ახალგაზრდა ინჟინრები ნ. გოგავა, თ. თარგამაძე, ნ. კომლაძე, რომლებმაც კარგად, მონდომებულად წარმართეს მუშაობა. ასევე ითქმის იმ ბრიგადებზე, რომლებსაც ს. ჩაჩავა, თ. ვაშაძე, ი. კაპანაძე, ნ. ხუჭუა ხელმძღვანელობენ.

მშენებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით აქ წელს აშენდა ორი საერთო საცხოვრებელი ბინა, კეთილმოეწყო მუშათა სასადილო, გაიხსნა მშენებელთა კლუბი. ახალგაზრდა მუშებიდან მომზადდა 80 კვალიფიციური მუშა სხვადასხვა წამყვანი პროფესიისა, კვალიფიკაცია აიმაღლა 50 მუშამ. ამით განმტკიცდა მშენებელთა კადრები, შემცირდა მუშათა დენადობა.

მშენებელ მუშათა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უკანასკნელ ხანებში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეტალურგქსკავაციის სამმართველოში. ყველა უბნის მუშებს შორის აქ ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რეგულარულად წარმოებს შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება და მათი განხილვა მუშათა კრებებზე, კარგად არის მოწყობილი თვალსაჩინო აგიტაცია. ჯეროვანი ყურადღება ექცევა შრომის მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. 1959 წელს სამმართველოში დაინერგა 15 წინადადება, რომელთა ეკონომიურმა ეფექტმა 696.900 მანეთს მიაღწია. კომუნისტები სამმართველოში შრომისა და პარტიულ-საზოგადოებრივი საქმიანობის ავანგარდში არიან. მექანიზატორები ა. ბრაგინი, გ. ბიწაძე, ტ. ჩუბინიძე, ხურო ა. ნეფარიძე, გამყვანები ი. ჭუმბურიძე, რ. შუკაკიძე გეგმებს 140-160 პროცენტით ასრულებენ.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა სამშენებლო სამმართველოში როდი იგრძნობა ჯეროვანი პასუხისმგებლობა მუშაობაში. ჭიათურმშენის სამშენებლო სამმართველოს პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები დღემდე ვერ რაზმავენ საკმარისად ინჟინერ-ტექნიკურ და მუშათა კოლექტივს დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის. გაზრდილ მოთხოვნილებათა წარმატებით გადასაჭრელად მოუმზადებელია საშენ მასალათა კომბინატი. აქ ურიგდებიან საამქროების ცუდ მუშაობას, რის გამო ფერხდება მშენებლობათა მომარაგება საშენი მასალებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის" ხელმძღვანელობა დღემდე გადამჭრელ ზომებს არ იღებდა საკუთარი ბაზის გაფართოებისა და მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის.

ჭიათურელი მშენებლების ვალია ნამდვილად გადააქციონ შვიდწლედის უმნიშვნელოვანესი მშენებლობანი დამკვრელ მშენებლობებად. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რომ ძალებისა და სახსრების კონცენტრაციით, კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანი გამოყენებით დადგენილ დროში ავამუშაოთ ახალი საწარმოო სიმძლავრეები, საექსპლოატაციოდ გადავცეთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობანი და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებაში.

შ. ბუხრაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მეზღვაურთა მამაცობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ მიღებულია ცნობა, რომ ბარენცის ზღვაში საგაზაფხულო თევზჭერის მოწინავე ხაზზეა ტრალერი „რიონი", რომელიც მურმანსკის ნავსადგურზეა მიწერილი.

ტრალერ „რიონის" კაპიტანია ვ. მიშჩენკო, მის ეკიპაჟში შედიან მეზღვაურები — რუსი პახომოვი, ქართველი მათიაშვილი, ბელორუსი ბორტაშევიჩი და სხვები.

ამ ცოტა ხნის წინათ ტრალერის ეკიპაჟის მამაცობამ მთელი მურმანსკი აალაპარაკა. ძლიერი ღელვის მიუხედავად, ეკიპაჟი ვახტს ეწეოდა, თევზჭერას განაგრძობდა. მოულოდნელად ბადეში თევზთან ერთად დიდი აუფეთქებელი ნაღმი შენიშნეს. ეს ამბავი კაპიტანმა სასწრაფოდ აცნობა მურმანსკს. ეკიპაჟის წევრებს დაევალათ ნაღმი უძრავად დაემაგრებინათ გემბანზე და უკანვე წამოსულიყვნენ. როცა ტრალერი ნავსადგურს მიადგა, დიდი ნაღმი უვნებლად ააფეთქეს. როგორც გამოირკვა, ნაღმი 1941 წელს ყოფილა დამზადებული და წლობით ყოფილა ზღვაში.

„რიონის" ეკიპაჟი კვლავ ბარენცის ზღვაშია და მაისის ბოლოს მურმანსკში დაბრუნდება.

მანქანები ადგენენ ბალანსს

რუსთავი (საკ. კორ.). მეტალურგიულ ქარხანასთან ჩამოყალიბდა სამანქანო-გამომთვლელი სადგური. იგი ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში.

გამომთვლელმა მანქანებმა, რომლებიც ქარხნის თითქმის ყველა საამქროში დაინერგა, დიდად გააადვილა ბუღალტრებისა და მოანგარიშეების შრომა. მანქანები ზუსტად და სწრაფად ახდენენ საბუღალტრო მასალების აღრიცხვას, ადგენენ ბალანსს.

კარგი დასაწყისი ნუ დაგვამშვიდებს

შარშან, ჩაის ფოთლის კრეფის მიწურულ დღეებში, როცა საქართველოს კოლმეურნეები თავდადებით იბრძოდნენ ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, ბუნებამ საწვიმრად მოიცალა. წვიმდა და წვიმდა. ჩაის ფოთლის კრეფა შეფერხდა. ცხადია, ავდარში მეტად გართულდა ჩაის პლანტაციებში მუშაობა. მაგრამ ხალხის გმირულმა შრომამ სძლია ბუნების ამ სიჯიუტეს. რესპუბლიკამ წარმატებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება — პარტიასა და საბჭოთა მთავრობას უპატაკა 140 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთლის ჩაბარება.

ამ საერთო წარმატებაში ბათუმის რაიონი გასულ წელს ვალში დარჩა — სამშობლოს დააკლო 181 ტონა ჩაის ფოთოლი.

საინტერესოა, რა გააკეთეს რაიონის მშრომელებმა სამშობლოს „ვალის" გადახდისათვის, შარშანდელი ჩამორჩენის გამოსწორებისათვის?

ასეთი კითხვები დავუყენეთ ბათუმის რაიონული კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ნინო ხახუტაიშვილს.

მდივნის სახეზე წყენა აღიბეჭდა. მას არ ესიამოვნა გასული წლის ჩამორჩენის გახსენება. წუთით თავი დახარა, მერე კი აგვხედა და გვითხრა:

— გასულ წელს უამინდობამ დიდად შეგვიშალა ხელი დავალების შესრულებაში, მაგრამ მიზეზი მარტო ეს როდი იყო. ამინდის მხრივ ხელსაყრელი ყოველი დღე და საათი მაქსიმალურად რომ გამოგვეყენებინა, ისე როგორც ეს მოწინავე კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მოწინავე ბრიგადებმა გააკეთეს, ცხადია, რესპუბლიკის წინაშე სირცხვილს არ ვჭამდით.

— გასული წლის ჩამორჩენის დასაძლევად და შვიდწლედის მეორე წლის დავალების წარმატებით შესრულებისათვის თუ რა სახის სამუშაოები შევასრულეთ, ამის შესახებ ყველა ფაქტიურ მასალას მოგაწვდით მთავარი აგრონომი კონსტანტინე მიხაილიდი, მერე კი თქვენი თვალით ნახეთ შესრულებული სამუშაოები ცალკეულ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

ბათუმის რაიონს 1.813 ჰექტარი ჩაის პლანტაციები აქვს, აქედან სრულმოსავლიანია 1.522 ჰექტარი. შვიდწლედის მეორე წელს უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 6.090 ტონა ჩაის ფოთოლი.

ამ გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის, — გვეუბნება კ. მიხაილიდი,— ვადამდე ჩავატარეთ ჩაის პლანტაციების გადაბარვა სასუქების შეტანით, ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, 30 ჰექტარზე უზრუნველვყავით ტრანშეის წესით გაშენებული ჩაის პლანტაციების რეკონსტრუქცია, პლანტაციების სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ ცარიელ ადგილებში გამოირგო შეხავსებულ მინის კოშტებში გამოყვანილი 300 ათასი ნერგი. ამავე მიზნით ახალგაზრდა პლანტაციებში ცარიელი ადგილები გამოითესა 100 ჰექტარ ფართობზე, მთლიანად ჩაის პლანტაციებში შეტანილია აზოტოვანი სასუქების პირველი დოზა, ჩაის ბუჩქების განასხლავის გადამუშავების შემდეგ წარმოშობილი ნარჩენები და სხვა სასუქები 1.000 ტონის რაოდენობით. აგრეთვე შერჩევის წესით პლანტაციებში შევიტანეთ 1.000 ტონაზე მეტი ტორფი და მდინარის შლამი.

დიდი გვალვების შემთხვევაში რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციების 50 ჰექტარზე მოწყობილია რწყვის სისტემა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის ფოთლის საკრეფი კალათები და პლანტაციიდან ფოთლის გამოსაზიდი გოდრები საჭირო რაოდენობით შეიძინეს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭირო რაოდენობით გვყავს ავტომანქანები და ცხენები იმ ადგილებიდან ფოთლის გამოსაზიდად, სადაც ავტომანქანა ვერ უდგება.

ეს ციფრობრივი მასალები ჩვენ რაიონულ კომიტეტში ავიღეთ, მაგრამ ვის არ აინტერესებს თავისი თვალით ნახოს ბათუმის რაიონის ლამაზი სოფლები, რომლებიც წლის ყველა დროს მწვანეშია ჩაფლული. რაიონში ბევრია მოწინავე და შეძლებული კოლმეურნეობა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი პირველია სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა.

ჩვენც პირველად მას ვეწვიეთ. სიამით უცქერ აყვავებულ სოფელს, სადაც ციტრუსოვანთა ბაღნარებში კოპწიად გამოიყურებიან ორსართულიანი ლამაზი სახლები. ბინებიდან გესმით რადიოს, მუსიკის ხმა.

კოლმეურნეობის კანტორაში მისვლისთანავე გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ვერძაძე ვიკითხეთ. იგი მალე მოვიდა. გაიგო თუ არა, რომ რედაქციიდან ვიყავით, მაშინვე მთავარ ბუღალტერს დაუძახა და უთხრა:

— ამხანაგები რედაქციიდან არიან, მოიტანე მასალები, გაეცნობიან კოლმეურნეობის ეკონომიკას, მერე კი სოფელსა და პლანტაციებს დავათვალიერებთ.

კოლმეურნეობის საერთო ფულადმა შემოსავალმა შარშან 7,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მეჩაიეობიდან მიღებული თანხა 6,3 მილიონ მანეთს შეადგენს. როგორც ჩანს, კოლმეურნეობაში ძირითადი დარგი მეჩაიეობაა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ღონიერმა კოლმეურნეობამ ზედიზედ 1958 და 1959 წლებში ჩაის მოსავლიანობის გეგმა ვერ შეასრულა, მაშინ როცა კოლმეურნეობაში ჩაის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების ყველა შესაძლებლობაა.

გასულ წელს კოლმეურნეობას უნდა მოეკრიფა 726 ტონა ფოთოლი, მოკრიფა 22 ტონით ნაკლები, მეჩაიეობის 14 ბრიგადიდან გეგმა შეასრულა მხოლოდ ორმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ფატი წითელაძე და შუქრი დოლიძე. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულმა მკრეფავებმა. ელენე იმნაიძემ, რომელსაც მიმაგრებული ქონდა 0,2 ჰექტარი, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 2.570 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჰექტარზე გადაანგარიშებით საშუალო მოსავლიანობა გამოდის 12.850 კილოგრამი, მაშინ როცა გეგმით ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა გათვალისწინებულია 4.300 კილოგრამი. ასევე დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჯემალ დუმბაძემ, ქეჟუნა ცინვარიძემ, ხირისულა პაპაინიდიმ, ფიქრიე ცინცაძემ და სხვ.

ამ მოწინავე ადამიანების თვალსაჩინო წარმატებები იმაზე მეტყველებენ, რომ კოლმეურნეობაში არსებობს საკმაოდ დიდი რეზერვები იმისათვის, რომ მკვეთრად გაადიდონ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა, ვალში არ დარჩნენ სახელმწიფოს წინაშე და კოლმეურნეობის შემოსავალიც გაზარდონ.

კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, დასახეს კონკრეტული ღონისძიებები ჩაის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის. გულდასმით გამოიანგარიშეს მთელი რეზერვები და ვალდებულება იკისრეს:

შვიდწლედის მეორე წელს საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფონ 4.680 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.379 კილოგრამისა. მეურნეობის ყველა დარგში შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ 1963 წლისათვის.

ჩამორჩენის გამოსწორებისათვის და ნაკისრი ვალდებულების წარმატებით განაღდებისათვის კოლმეურნეობას სერიოზული მუშაობა გაუწევია. შარშან მეჩხერ პლანტაციებში დაირგო შეხავსებულ მინის კოშტებში გამოყვანილი 35 ათასი ნერგი, მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასარგავად უკვე მზად აქვთ ასეთივე წესით გამოყვანილი 45 ათასი ნერგი. გარდა ამისა, ახალგაზრდა პლანტაციებში ცარიელი ადგილები თესლით გამოითესა 12 ათას სიგრძივ მეტრზე. გააშენეს 12 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია. აქ ყველაფერი ისე მოუმზადებიათ, რომ ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციას 1961 წლისათვის აპირებენ, სწორედ ამან უნდა განაპირობოს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის შვიდწლიანი გეგმის 1963 წლისათვის შესრულება. ჩაის პლანტაციებში რიგთაშორის ნიადაგის გადაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების შეტანით 15 იანვრისათვის დაამთავრეს ნაცვლად გათვალისწინებული 1 აპრილისა. ცხადია, აგროწესების მიხედვით ეს მეტად საჭირო საქმე გააკეთეს, ასევე აგროწესების დაცვით ვადაზე 15 დღით ადრე — 25 მარტისათვის დაამთავრეს ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება. პლანტაციებში შეტანილია 130 ტონა აზოტოვანი სასუქი, ხოლო მაღალმოსავლიან ნაკვეთებში დამატებით შეიტანეს წუნწუხი.

ჩაის ფოთლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის დამზადებულია 450 კალათი, ხოლო ფოთლის გამოსაზიდად 200 გოდორი და ყუთი. შეძენილ იქნა 68 ცალი ხელის სასწორი და მკრეფავებისათვის 150 ცალი საწვიმარი. ფოთლის გამოსაზიდად გამოყოფილია ორი ავტომანქანა, ხოლო იმ ადგილებისათვის, სადაც ავტომანქანა ვერ უდგება, 26 ცხენი.

ადგილზე დავათვალიერეთ ბრიგადების ნაკვეთები. მთის ფერდობებზე გაშენებული ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღნარები ისე კოხტად გამოიყურებიან, რომ გული სიხარულით გევსება, ყველა ბუჩქს ეტყობა მზრუნველი ხელი.

ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას აქვს რეზერვები იმისათვის, რომ დაძლიოს გასული წლის ჩამორჩენა, წარმატებით გაანაღდოს ყველა დავალება. ამის გარანტიას გაწეული მუშაობა იძლევა.

დავათვალიერეთ სოფლების სარფის, გონიოს, ჩაისუბნის, წინსვლის და სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაკვეთები, გავეცანით შესრულებულ სამუშაოებს. თვალნათლივ დავრწმუნდით იმაში, რომ რაიონის კოლმეურნეებს და საბჭოთა მეურნეობებს ყველაფერი გაუკეთებიათ ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ყოველმხრივ მზად არიან ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

ამას წინათ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო რაიონის მოწინავე ახალგაზრდა მეჩაიეთა შეკრება.

თათბირის მონაწილეებმა — აჭარის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა მიმართეს მოწოდებით: ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჰექტარი ჩაის პლანტაციის საშუალო მოსავლიანობა ავიყვანოთ 4.300 კილოგრამამდე. გეგმის გადამეტებით მივცეთ სამშობლოს 400 ტონა ჩაის ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებანი მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა შესახებ ერთხელ კიდევ მოწმობს მშრომელთა კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას. საქართველოს მშრომელებთან ერთად, ბათუმის რაიონის კოლმეურნეები პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვას გმირული შრომით უპასუხებენ. მიუხედავად დაგვიანებული გაზაფხულისა, მაისის პირველი რიცხვებიდან კოლმეურნეებმა მასიურად დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა.

კარგი დასაწყისი ნუ დაგვამშვიდებს, ვიბრძოლოთ ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის.

ზ. ჯამასპიშვილი,
დ. ლიასამიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

• • •

ბათუმის რაიონის თხილნარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა.

სურათზე (წინა პლანზე): ნათელა ფუტკარაძე ჩაის კრეფის დროს.
ფოტო ნ. ანასტასიევისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ჭიათურა—ნიკოპოლი

ჩვენს ქართველ მეგობრებთან

ასეთ დასათაურებული ქალაქ მარგანეცის (უკრაინა) საქალაქო გაზეთ „შახტარ მარგანციას" მთელი მესამე გვერდი, რომელიც მიძღვნილია ჭიათურის მარგანეცის მაღაროების მუშაობისადმი, ნიკოპოლელ და ჭიათურელ მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრებისადმი. გვერდში მოთავსებულია ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს ამწმენდის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ტ. ფოფხაძის და კალინინის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ცვლის უფროსის ო. ლორიას ფოტოსურათები. საქართველოს კომპარტიის ჭიათურის ქალაქკომის მდივანი ამხ. უ. სხირტლაძე ნიკოპოლელ მეგობრებს მოუთხრობს ჭიათურის მომავალზე შვიდწლედში.

კალინინის სახელობის მაღაროს დირექტორის ამხ. მ. აფაქიძის წერილში „შვიდწლედი და ადამიანები" მოთხრობილია მაღაროს კოლექტივისა და მისი წარჩინებული ადამიანების შრომითს საქმიანობაზე, მათს გამოცდილებაზე. აქვე მოთავსებულია წერილი ამავე მაღაროს კომუნისტური შრომის ცვლის უფროსის ო. ლორიასი, იგი ეჯიბრება ნიკოპოლის მარგანტრესტის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს № 20 შახტის იმ ცვლის კოლექტივს, რომელსაც ახლა ო. როდიონოვი ხელმძღვანელობს.

მაღარო „ახალი ითხვისის" ლენინის ორდენოსანი გაგანოველი მბურღავი კ. ნადირაძე წერილში — „განვაგრძოთ შეჯიბრება, ძვირფასო მეგობრებო"! — იგონებს 1957 წელს ნიკოპოლელ ძმებთან გატარებულ დღეებს, თავისი მუშაობის შედეგებზე მოუთხრობს მასთან შეჯიბრებაში ჩაბმულ ივ. მალევანს. ისინი კვლავ აგრძელებენ შეჯიბრებას, იბრძვიან შვიდწლედის ხუთწელში შესასრულებლად.

გაზეთ „შახტარ მარგანციას" და „ჭიათურის მაღაროელის" რედაქციებს გადაწყვეტილი აქვთ სისტემატურად მოათავსონ შემცვლელი გვერდები. ეს ხელს შეუწყობს ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა მეგობრობის განმტკიცებას, მეტი მარგანეცისათვის ბრძოლას.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროს მოწინავე მბურღავი კომუნისტი კარპეზ ნადირაძე საწარმოო დავალებას სისტემატურად 120 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** კ. ნადირაძე.
ფოტო ს. ონანოვისა და ი. ბეჟაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეცნიერი მევენახეებთან

საკოლმეურნეო ზვრებში ყურძნის მაღალი მოსავლიანობისათვის ნამდვილი ბრძოლა დაიწყო. ვერც ერთ მევენახეს უსაქმურს ვერ ნახავთ. უყვარს ვაზი ქართველს, მზრუნველობას არ აკლებს. ჭაღარა მევენახეებს გვერდში ამოსდგომიან ახალგაზრდები, საერთო შრომაში ჩაბმულან. გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის ზონის კოლმეურნეობების ვენახებში გაცხოველებული მუშაობაა. წარმოებს ვენახების რემონტი, რიგთა შორის დამუშავება, სასუქების შეტანა.

ამას წინათ კოლმეურნეებს ეწვია საქართველოს წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ამხ. ა. ხელაშვილი. სოფელ ნანიანის კალინინის, ჯიმითის, ორჯონიკიძის, კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში გაეცნო სავენახე სამუშაოთა მიმდინარეობას, ბევრი პრაქტიკული მითითება მისცა მომუშავეებს. შესვენების საათებში აღნიშნულ კოლმეურნეობებში ხელაშვილმა წაიკითხა ლექცია ყურძნის უხვი მოსავლის მიღების ღონისძიებათა შესახებ.

კოლმეურნეებმა მოიწონეს ლექცია და მრავალი შეკითხვა მისცეს ლექტორს. მან ამომწურავი პასუხი გასცა შეკითხვებზე.

მევენახეებთან სოფლის მეურნეობის მეცნიერთა ახლო ურთიერთობა დიდად შეუწყობს ხელს შვიდწლედის მეორე სამეურნეო წლის ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ა. ივანიძე,
აგრონომი.

თაღლითები

ფარცხანაყანევი დიდი და ლამაზი სოფელია წყალტუბოს რაიონში. ამ სოფელში სამი კოლმეურნეობაა. სამივეს ერთნაირი დიდი შესაძლებლობა აქვს საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

და მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეზობელ კოლმეურნეობებს. შარშან აქ თვითეულ ჰექტარზე 12 ცენტნერი სიმინდი, 23 ცენტნერი ბოსტნეული და 940 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მიიღეს. კოლმეურნეობამ ვერც წველადობის დავალება შეასრულა — თვითეულ საფურაქე ძროხაზე გათვალისწინებული 978 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 792 კილოგრამი რძე. წინა წლებში კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი წელიწადში მილიონ მანეთს აღემატებოდა, 1959 წელს კი მან 859 ათასი მანეთი შეადგინა.

ასეთი ჩამორჩენა უწინარეს ყოვლისა უუნარო ხელმძღვანელობამ, თაღლითებისადმი ბრმად მინდობამ განაპირობა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. შონვაძე და ბუღალტერი ლ. ტურაბელიძე თვითნებობენ, კოლმეურნეთა საერთო კრებისა და გამგეობის დაუკითხავად წყვეტენ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, ხელგაშლილობას იჩენენ კოლმეურნეობის ხარჯზე.

ფაქტები?.. რომელი ერთი დავასახელოთ...

1958 წლის 4 სექტემბერს ბუღალტერმა ლ. ტურაბელიძემ თვითნებურად წაიყვანა კოლმეურნეობის ავტომანქანა (გაზ-51) თერჯოლის რაიონში. ქელეხში თვითონაც უგრძნობლად დათვრა და არც ავტომანქანის მძღოლი და მისი თანაშემწე დატოვა ღვინოზე გულნაკლული. უკან დაბრუნებისას ავარია მოხდა, მანქანა გადაბრუნდა, ძრავას ცეცხლი გაუჩნდა. ავარიის შედეგად დაიღუპა მძღოლის თანაშემწე, ამავე კოლმეურნეობის წევრი ჯ. კუპუხიძე, ხოლო მანქანა მთლიანად განადგურებული აღმოჩნდა.

მოსალოდნელი იყო, რომ დამნაშავეებს — ბუღალტერსა და მძღოლს სათანადოდ დასჯიდნენ და მათვე დააკისრებდნენ კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. მაგრამ ასე როდი მოხდა... ავარიისა და ადამიანის დაღუპვის ფაქტზე არავის უმსჯელია. სათანადო აქტი არც კოლმეურნეობაში მოიპოვება და არც ავტოინსპექციაში, პასუხისგებაშიც არავინ მიუციათ. კიდევ მეტი, საკითხი არც კოლმეურნეთა კრებაზე განუხილავთ და არც გამგეობის სხდომაზე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. შონვაძე და ბუღალტერი ლ. ტურაბელიძე თაღლითობის გზას დაადგნენ, საქმით დაინტერესებულთ განუმარტავდნენ, რომ მძღოლმა და თვით ბუღალტერმა მანქანა თითქოს თავიანთ ხარჯზე აღადგინეს, ფაქტიურად კი ზარალის ანაზღაურება დამნაშავეთა ნაცვლად კოლმეურნეობას დააკისრეს — მარტო სათადარიგო ნაწილების შეძენაზე საკოლმეურნეო სახსრებიდან 9.320 მანეთი დახარჯეს.

ათასობით მანეთია გაცემული კერძო და საეჭვო პირებზე, უხვად არიგებენ ფულს ყოველგვარ აქტებსა და ხელწერილებზე სახელმწიფო ბანკის გვერდის ავლით. მძღოლს შ. ნიუცუბიძეს ხელზე მისცეს 4.250 მანეთი ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების შესაძენად, კოლმეურნეობას შესყიდვის არავითარი დოკუმენტი არა აქვს, მძღოლის განცხადებით მან ყველა ნაწილი კერძო პირებისაგან იყიდა.

გათამამებულმა თავმჯდომარემ ქუთაისიდან მოიწვია ვინმე ბ. ალტაევი და მიმდინარე წლის 4 აპრილს მას 100-კილოვატიანი ტრანსფორმატორის შეძენასა და დადგმაზე ხელშეკრულება გაუფორმა. ამ საეჭვო პირს ხელშეკრულების დადებისთანავე 8.000 მანეთი მიართვეს.

გასული წლის 17 მარტს კოლმეურნეობას აკაციის ჭიგოს ღირებულება — 13.200 მანეთი ჩაურიცხა თერჯოლის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ. მთელი ეს თანხა ნაღდ ფულად მისცეს ცრუკოლმეურნეს ვ. ფხაკაძეს, თითქოს ჭიგო მისი საკარმიდამო ნაკვეთის ტყეში მოიჭრაო. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა... კოლმეურნეობას გაყიდული ბოსტნეულისა და ხორცის ღირებულება სხვადასხვა დროს ჩაურიცხეს წყალტუბოს სანატორიუმებმა „დრუჟბამ", „მეტალურგმა" და „შახტიორმა". ამ თანხიდან 27.068 მანეთი იმავე ვ. ფხაკაძეს ნაღდად ჩაუჯიბეს — ესეც მისი პროდუქტების საფასური იყოო. ასე ჩაუთვალეს ფხაკაძეს სულ 40.268 მანეთი. ამასთან კოლმეურნეობის სასარგებლოდ წესით დადგენილი საკომისიო თანხაც არ დაუკავეს.

ასეთი შუამავლობა, რომელზეც თაღლითებმა ხელი მოითბეს, მით უფრო გასაკვირველია, რომ ზემოხსენებულ ვ. ფხაკაძეს 1959 წელს კოლმეურნეობაში სრულებით არ უმუშავნია, ხოლო მის მეუღლეს ც. ფხაკაძეს მხოლოდ 23 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

1959 წელს კოლმეურნეობამ თითქოს კოლმეურნეებისაგან შეიძინა სამი ძროხა და 69 გოჭი. პირუტყვის ეს ოდენობა წლის ბოლოს ინვენტარიზაციაში შეიტანეს, სულადობა ხელოვნურად, ფორმალურად გაადიდეს. ფაქტიურად კი კოლმეურნეები კრედიტორებად აიყვანეს, მათთვის ფული არ მიუციათ და ვერც მისცემდნენ, რადგან პირუტყვი კოლმეურნეობაში არ მოუყვანიათ. ამის გამო მოხდა, რომ 1960 წლის 22 იანვარს, რაკი წინა სამეურნეო წელი გასული იყო, ახალ ფონდს მიმართეს. დღის წესრიგში შეუტანლად თავმჯდომარემ და ბუღალტერმა გამგეობის ახალი დადგენილება გამოაცხვეს — თითქოს კოლმეურნეობა სახსრების უქონლობის გამო აღნიშნულ პირუტყვს უკანვე უბრუნებდა კოლმეურნეებს, ამასთან „იმავე რაოდენობითა და ღირებულებით". აი რა თვალთმაქცობით „ასრულებენ" აქ პირუტყვის სულადობის გეგმებს.

კოლმეურნეობის ბუღალტერს ლ. ტურაბელიძეს დიდ შრომად არ უღირს ყალბისმქნელობა და ამ გზით დამატებითი ათასების მითვისება. 1960 წლის 1 მარტს მან ყალბად გააფორმა სალაროს გასავლის ორდერი საწყობის გამგის ი. თევდორაძის სახელზე და, დოკუმენტი საეჭვო რომ არ გამხდარიყო, მსხვილ თანხას კაპიკებიც დაუმატა — სალაროდან 1.675 მანეთი და 94 კაპიკი მიიღო. როგორც გამოირკვა, ჯერ-ერთი, ამ ოდენობის თანხა ი. თევდორაძეს არ ეკუთვნოდა და არც მიუღია, ხოლო მეორეც, და რაც მთავარია, თვითონ თევდორაძის განმარტებით მას არც განცხადება დაუწერია ფულის მიღებაზე და ორდერზეც მისი ხელმოწერა არ არის. ასეთი ყალბი საბუთები ერთეულები როდია.

ყოველივე ამის შემდეგ არც არის გასაკვირველი, რომ თავმჯდომარემ და ბუღალტერმა საქმეებისათვის ვერ მოიცალეს, სრული ქაოსია კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის საქმეში. შესრულებულ სამუშაოებს სწორად არ აღრიცხავენ, დადგენილი წესით არ გადააქვთ შრომის წიგნაკებში, დიდი დაგვიანებით ადგენენ სამუშაოთა უწყისებს. კოლმეურნეთა დიდ ნაწილს ხელზე არა აქვს შრომის წიგნაკები. ჩანაწერებიანი 94 წიგნაკი კოლმეურნეობის კანტორაში აღმოჩნდა.

დამახინჯებებია შრომადღეების დარიცხვაში. კოლმეურნე ქ. ფხაკაძეს პამიდორისა და კიტრის თესვაზე ნორმებისა და შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით ოთხ კალენდარულ დღეში 4.64 შრომადღე უნდა დარიცხოდა, ფაქტიურად 2.49 შრომადღე დაურიცხეს. მ. კილაძეს 1959 წელს უწყისების მიხედვით გამომუშავებული აქვს 122,16 შრომადღე, შრომის წიგნაკში კი შეტანილია მხოლოდ 44,72 შრომადღე.

მაშინ როცა შრომადღეების ფულადი ანაზღაურების ანგარიშიდან კოლმეურნეებზე ჯერ კიდევ გაუცემელია 76.793 მანეთი, კოლმეურნეთა ერთ ნაწილს არასწორი ავანსირებით ზედმეტად აქვს მიღებული 37.872 მანეთი. კოლმეურნე რ. ფხაკაძეზე 1957 წლიდან ირიცხება 8.228 მანეთი დავალიანება. კოლმეურნეობაში სხვა დამახინჯებებსაც ვხვდებით.

ვფიქრობთ, ყოველივე ეს ცოტა როდია იმისათვის, რომ კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობით დაინტერესდნენ წყალტუბოს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები.

შ. ჯაპახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჩვენი წვლილი

ქობულეთის ტორფის ქარხნის კოლექტივმა ოთხი თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

გადაამუშავა და დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებს მიაწოდა 17 ათას ტონაზე მეტი ძვირფასი სასუქი. ამასთან 7 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, 16,6 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. დაზოგა და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 70 ათასი მანეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებითა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებით აღფრთოვანებული კოლექტივი ახლა წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში.

ჯ. მახარაძე.

რუსთაველის ნაკვალევზე

შარშან იერუსალიმს საბჭოთა ტურისტების ჯგუფთან ერთად ეწვია უკრაინელი მწერალი გრიგოლ პლოტკინი, რომელმაც აღწერა თავისი მოგზაურობა ისრაელში და „რუსთაველის საფლავთან" მისვლა. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ნაწყვეტს გრ. პლოტკინის წიგნიდან, რომელიც რუსთაველის საფლავს ეხება და აგრეთვე მის ლექსს რუსთაველზე. რედაქცია მიმართავს ქართველ რუსთველოლოგებს თხოვნით — გამოთქვან თავიანთი აზრი აღძრული საკითხის შესახებ, რომელიც ასე აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას.

იერუსალიმში ჩვენმა ჩასვლამ, ეტყობა, დააბნია სენსაციების მოყვარული ისრაელის ბურჟუაზიული გაზეთების კორესპონდენტები. ადგილობრივი მოსახლეობის დიდმა სიმპათიამ საბჭოთა ადამიანებისადმი საშუალება მოუსპო მათ განეგრძოთ ჩვეული თავდასხმები სსრ კავშირზე. და მართლაც, ისინი „კეთილმოსურნეებივით" ამუქებდნენ თვითეულ ჩვენს ნაბიჯს...

ჩვენი ჩასვლის მეორე თუ მესამე დღეს ადგილობრივი გაზეთი „დავარი" თავის მოწინავეში წერდა:

— ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ რას გზავნის საბჭოთა კავშირი სირიასა და ერაყში, მაგრამ დაე ხედავდეს და ისმენდეს მსოფლიო, რომ ისრაელში წარმოგზავნილი იყვნენ... ტურისტები.

გამოჩნდებოდნენ თუ არა იმ პუნქტებში, სადაც მათ ჩვენი მარშრუტით სრულიადაც არ მოველოდით, ეს კორესპონდენტები პირდაპირ ნადირობდნენ ჩვენზე, გვიტაცებდნენ და, უწინარეს ყოვლისა, გვეკითხებოდნენ:

— ხომ არ აპირებთ ისრაელში გადმოსახლებას?

და როცა უარყოფით პასუხს მოისმენდნენ, არ გვეშვებოდნენ, ცდილობდნენ გაევსოთ თავიანთი ბლოკნოტები ჩვენი ოჯახური ცხოვრების წვრილმანებით. რამდენადაც მსგავს „იერიშებს" მათთვის სათანადო სარგებლობა არ მოჰქონდა, ისინი თავის რეპორტაჟს, უკაცრავად პასუხია, „მხატვრული მონაჭორებით" ავსებდნენ...

... რა გაეწყობა! განა პირველად უხდებათ ბურჟუაზიულ ჟურნალისტებს სასურველი სინამდვილედ გაასაღონ! ისინი შეჩვეული არიან წერონ ყველაფერი, რაც მოეპრიანებათ, მაგრამ მკითხველებიც ალბათ უკვე შეეჩვივნენ ყური არ ათხოვონ მათ ცილცრუეს...

... მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მოგზაურობას. ტელ-ავივში ერთმა ჩემმა ახლად შეძენილმა ნაცნობმა, გაიგო რა, რომ მე ლიტერატორი ვარ, მითხრა:

— თქვენ ალბათ აპირებთ დაჰყოთ ხანი იერუსალიმში? განა იცით კი, რომ იქ დასაფლავებულია შოთა რუსთაველი?

უნდა ვაღიარო, რომ მე ეს პირველად მესმოდა. ბავშვობიდანვე აღფრთოვანებულმა უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" ავტორის გენიით, მე, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ ვიცოდი მისი პირადი ბედის შესახებ: არსებული ლიტერატურა მასზე მხოლოდ ძუნწ ბიოგრაფიულ მონაცემებს შეიცავს.

დამიდასტურა რა, რომ რუსთაველის საფლავი ნამდვილად იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერშია, საბჭოთა საელჩოს ერთმა თანამშრომელმა ისრაელში მირჩია:

—როცა იერუსალიმში იქნებით, აუცილებლად დაუკავშირდით სსრ კავშირის აკადემიის მუდმივ წარმომადგენელს. მან შეისწავლა ეს საკითხი და, უეჭველია, ყველაფერში გაგიწევთ დახმარებას.

ჩვენი ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ მეცნიერი მუშაკები, ინჟინრები, ჟურნალისტები. ისინი ძალიან აღელვა ჩემმა ცნობამ, რომ საშუალება გვაქვს მოვინახულოთ შთაგონებული ქართველი პოეტის — ჰუმანისტის საფლავი და გამოვხატოთ ჩვენი გულითადი პატივისცემა მისი ნათელი ხსოვნისადმი.

ჩვენ ვთხოვეთ გიდს ეჩვენებინა ჩვენთვის ადგილი, სადაც დასაფლავებულია დიდებული შოთა.

ჩვენდა გასაოცებლად, სოლომონ აბრამის-ძემ ყოყმანით გვიპასუხა:

— თუ მოვახერხეთ... ჩვენ ხომ ჯერ კიდევ დიდი პროგრამა გვაქვს!

— განა თქვენ თვითონ არა თქვით, როცა ჰერცლის (სიონისტური მოძრაობის ბელადი — გ. პ.) საფლავზე იყო საუბარი, პროგრამის ოდნავ შემოკლება შესაძლებელიაო?

— რასაკვირველია, ეს ასეა... მაგრამ მე პირადად, ფირმის ხელმძღვანელთა დაუკითხავად...

— ჩვენ ამას კატეგორიულად მოვითხოვთ! — ერთსულოვნად დამიჭირეს მხარი ამხანაგებმა.

მე გამახსენდა ჩემი შარშანდელი მოგზაურობა სტამბოლში. თურქი გიდი უფრო გულახდილი აღმოჩნდა: ჩვენს თხოვნაზე დაგვეთვალიერებინა ცნობილი ცისფერი მიზგითი, მან გვიპასუხა, მარშრუტის შეცვლა აუცილებლად შეთანხმებულ უნდა იქნას პოლიციასთანო.

იერუსალიმში კი, ისტორიულად ღირსსახსოვარი ადგილების დათვალიერების, ეკლიანი მავთულით შემოღობილი ძველი კვარტალებისა და ქუჩების ნახვის შემდეგ, რომელთა გადაღმა რამდენიმე მეტრზე მოჩანს იორდანიელ მესაზღვრე ლეგიონერთა ჯიხურები, ჩვენმა გიდმა შეცბუნებულმა გვითხრა:

— რუსთაველის საფლავის ნახვა არ მოგვიხერხდება. წმ. ჯვრის მონასტერი ახლა დაკეტილია. მისი გასაღები იღუმენს აქვს. ის აბა სად უნდა მოვძებნოთ!

— ხომ არ დაგირეკიათ საბჭოთა სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენლობაში?

— დავრეკე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვიპასუხეს... ყურმილს არავინ იღებს.

ამხანაგები მავალებენ მე პირადად მოვაგვარო ეს საქმე. მივდივარ ტელეფონთან და ვკრეფ საჭირო ნომერს.

— გისმენთ! — სიხარულით მიპასუხებს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პავლოვსკი. — ძლივს არ დაგვირეკეთ, ძვირფასო თანამემამულენო! მე ვიცოდი, რომ თქვენ ჩამოხვიდოდით და დილიდანვე წუთითაც არ მოვშორებივარ ტელეფონს.

აი თურმე როგორ ყოფილა საქმე! ცოტა უფრო გვიან იერუსალიმის მცხოვრებლებმა აგვიხსნეს, რომ წმ. ჯვრის მონასტერი იმ ზონაშია, რომელსაც განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ისრაელის ხელისუფლები ცდილობენ ტურისტებს მისთვის გვერდი აექცევინონ და, ასე ვთქვათ, „ჰენებ-ჰენებით" გაატარონ მის ახლოს.

ათი წუთიც არ გასულა, რომ ჩვენი გაჩერების ადგილზე ამხანაგი პავლოვსკი გამოცხადდა და თან მამა სოფოკლიუსი — ბერძენი ბერი, წმ. ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, — მოიყვანა, რითაც ჩვენი გიდი დიდად უკმაყოფილო და არანასიამოვნები დარჩა. თურმე გასაღების მოძებნა არც ისე ძნელი იყო, როგორც ამაში ჩვენ სოლომონ აბრამის-ძე გვარწმუნებდა!

და აი ჩვენ უკვე ამ ძველი ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში ვართ. შორიდან, იუდეის ჭაღარა მთების ფონზე, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე ამ მიწაზე მოსახლე ხალხის დიდების ლეგენდებით არის მოსილი, ხალხის, რომელიც მამაცურად იბრძოდა რომაელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, მოჩანს მონასტრის მწვანე გუმბათები. შორს ამ მთების ფერდობებზე მუქად მოწინწკლულია ეგრეთწოდებული „იაარ აკდოშიმი" — „წამებათა ტყე".

ვეებერთელა ჭიშკრის ჭრიალი ძალიან არასასიამოვნო ხმაურად მოგვეჩვენა ამ ამაღელვებელ სიჩუმეში. ჩვენ შევდივართ გალავანში, სადაც, ძველი თქმულებით, იზრდებოდა გასაოცარი ხე, რომელსაც სამი ტანი ჰქონდა: ერთ ფესვზე აღმოცენებულიყო და გაზრდილიყო ფიჭვი, კვიპაროზი და ლიბანის გუნდის ხე. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ ნარევი ხისაგან ყოფილა გაკეთებული ჯვარი, რომელზეც აცვეს იესო ქრისტე!

მამა სოფოკლიუსი გვიამბობს, რომ მეთორმეტე საუკუნის ბოლოდან მეთხუთმეტე საუკუნემდე წმ. ჯვრის მონასტერი ქართული ყოფილა, ხოლო მეთექვსმეტე საუკუნიდან იგი გადასულა ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის გამგებლობაში. არსებული ლეგენდის მიხედვით შოთა რუსთაველს თავისი ნებით უთქვამს უარი საქართველოში კარისკაცის თანამდებობაზე, აღკვეცილა ბერად და ფეხშიშველი წამოსულა იერუსალიმს, „წმიდა ადგილებისაკენ".

დიდებული ქართველი პოეტი დასახლებულა წმ. ჯვრის მონასტერში და თავისი მეგობარი ბერების დახმარებით მოურთავს ამ ტაძრის კედლები საუცხოო ფრესკებით, რომლებიც ასახავენ მშობლიურ კავკასიურ პეიზაჟებს და საქართველოს ისტორიის ზოგიერთ სიუჟეტს.

სიკვდილის შემდეგ პოეტისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გამოუჩენიათ ბერებს: მისი ნეშტი დაუკრძალავთ ერთ-ერთი მარჯვენა სვეტის ძირში, რომელზეც დაყრდნობილია ტაძრის თაღი.

ზეიმოვან დუმილში ყვავილებით შევამკეთ შენი საფლავი, უკვდავო შოთავ! მოგიტანეთ ცხოველი სალამი დიადი ქვეყნის ხალხებისა, ვინც ახორციელებს ცხოვრებაში თავისი საუკეთესო შვილების ყველაზე გაბედულსა და ყველაზე კეთილშობილურ იმედებს, მათ შორის შენს სანუკვარ ოცნებას თანასწორობაზე, ძმობაზე, თავისუფლებაზე... თითქმის რვა საუკუნის წინათ შენ განუმეორებელი ძალით დაგმე ბოროტება და უსამართლობა, უმღერე მამაცობას, ერთგულებას, სიყვარულს. შენ არ ფიქრობდი, რომ რვა საუკუნის შემდეგ შენს ნეშტზე მრისხანე გუგუნით გადაიქროლებდნენ ბრიტანული ესკადრილიები და რომ შენი გმირის — სახელოვანი არაბის ავთანდილის ნაშიერები „წმიდა ადგილების" მიდამოში განიცდიდნენ ტანჯვას მონობისა და უუფლებობის უღელქვეშ.

... ბევრი ფიქრი აღგვიძრა წმ. ჯვრის მონასტრის ნახვამ...

გრიგოლ პლოტკინი.

რუსთაველის საფლავი

ბრძენს, რუსთავიდან წამოსულს,
გზაში
დაშაშრებოდა ფეხები წყლულით,
და მაინც მწირის ანაფორაში
მოჰქონდა ცეცხლით მგზნებარე
გული.
ახსოვს მონასტერს აქ მოსვლა
მგონსის,
მაგრამ იცოდა
თვით ღამემ განა,
რომ შიგ ავტორმა „ვეფხის-
ტყაოსნის"
ნათელმზიანი დღე შეიტანა?
რომ მოიტანა შორეულ გზებით
შვება, მშვიდობა უმძიმეს დროსა
და მიაპყრობდა თვალებსაც გზნებით
ის პალესტინის უნაზეს რტოსა?
მოვიდა ის და ათინათინდა
მზე...
და მზის შუქი წყვდიადს ედება —
ააფერადეს ფრესკები წმიდა
კავკასიონის ვერცხლის ქედებმა.
გაფრინდნენ წლები
ბევრ საუკუნის...
მაინც არ ასცდა
პოეტის საფლავს
ხმები ქვემეხთა
მკაცრი გუგუნის
და ცაზე ცხელი
ტყვიების ლამბვა.
ო, შოთავ!
მარად წარსულში ბრწყინავ,
შენ როდი გჩრდილავს წყვდიადის
კუბო!
შენ სიტყვით ჰქუხარ
ისე, ვით წინათ,
და მშვიდობის მტრებს
გულს შუა უპობ!
შენ ყველა იცან,
სიმართლის შვილო,
დაგმე ბნელეთის ავი ნარჩენი,
და ულმობელი და სასიკვდილო
გამოუტანე
ბნელს განაჩენი.

თარგმნა ბიძინა აბულაძემ.

ა ხ ა ლ ი   წ ი გ ნ ე ბ ი

კ. გამსახურდიას თხზულებათა III ტომი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" დაბეჭდა და ხელმომწერლებს ურიგდება კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომი. წიგნში დაბეჭდილია მწერლის ისტორიული რომანის „დავით აღმაშენებლის" პირველი ორი ნაწილი.

წიგნის რედაქტორები არიან ი. აბაშიძე, ს. ჭილაია და გ. ნატროშვილი, გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ლ. გრიგოლიას. III ტომი, რომლის ტირაჟია 40.000 ცალი, შეიცავს 751 გვერდს და ღირს 14 მანეთი.

* * *

ს. ჩიქოვანის ლექსებისა და პოემის კრებული

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსებისა და პოემის კრებული.

წიგნში ლექსები დალაგებულია რკალებად: „ადრინდელი რვეული", „ჩემი მამული", „მამულს ვუთხრათ გამარჯვება", „ქართლის საღამოები", „კახეთის შემოდგომა", „თბილისის ჩუქურთმები", „თანდაყოლილი გრძნობები", „შინიდან გაველ სამშობლოს გზაზე", „მშობლიური ნაპირები", „მთაო, გადმიშვი", „წინაპრები", „ბუნების კარი", „მეგობრული ფურცლები", „პოლონეთის გზაზე", „გოეთეს ცაცხვებთან". კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე".

„ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!".

ამ მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული სიმონ ჩიქოვანის ლექსებისა და პოემის კრებული.

წიგნის რედაქტორია ვ. ჟღენტი, მხატვრობა ეკუთვნის ლ. გრიგოლიას, ტირაჟია 7.000, ფასი 11 მან. 70 კაპ.

ლიტერატურა და ხელოვნება

თუ გულახდილად ვილაპარაკებთ

საქართველოს ფილარმონიის მუშაობის მტკივნეულ საკითხებზე

◆

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ რესპუბლიკის არც ერთ სანახაობით-საკონცერტო დაწესებულებას ისეთი ფართო მასშტაბით არ ევალება მოსახლეობის კულტურული მომსახურება, როგორც სახელმწიფო ფილარმონიას. მისი ძირითადი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ქართული სამუსიკო ხელოვნების განვითარებას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასების იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეში.

ფილარმონიის სისტემაში გაერთიანებულია შემდეგი კოლექტივები: სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საგუნდო კაპელა, ხალხური ცეკვის ანსამბლი, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ლექტორიუმი, სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო ტრიო, ესტრადა და 50-ძდე სოლისტ-შემსრულებელი (მომღერლები, დამკვრელები, მხატვრული სიტყვის ოსტატები) და სხვ. საქართველოს ფილარმონიასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ორგანიზაციის ქუთაისის განყოფილება; მასთან საქმიანი ურთიერთობა აქვთ აფხაზეთისა და აჭარის ფილარმონიებს.

საქართველოს ფილარმონიას ვერ დავუწამებთ უმოქმედობას. ავიღოთ, თუგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი დარგი ფილარმონიის მუშაობისა, როგორიც არის კამერული ლექცია-კონცერტები მოსწავლეთათვის. თუ აქამდე ასეთი ღონისძიება მხოლოდ თბილისში და საქართველოს ორიოდე სხვა ქალაქში ტარდებოდა, ახლა თემატიკური ლექცია-კონცერტები, გარდა თბილისისა, რესპუბლიკის 15 ქალაქში ეწყობა. გამოცდილ ლექტორებთან ერთად ამ სასარგებლო მუშაობაში ჩაბმულია ახალგაზრდა სალექტორო კადრები: შ. მესხი, ვ. გურევიჩი, ე. მაქავარიანი, მ. ახმეტელი, რომლებმაც პირველი გამოსვლებიდანვე საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს.

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის საკონცერტო მოღვაწეობა, რაც მისი ხელმძღვანელობის (დირექტორი ო. პაპიტაშვილი, მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ზ. ხუროძე) უნარსა და მონდომებას უნდა მივაწეროთ. იგივე ითქმის საგუნდო კაპელაზეც (ხელმძღვანელი-ლოტბარი ჯ. კახიძე). წარმატებით გამოდის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი-ლოტბარი ა. კავსაძე); სახელმწიფო კვარტეტი (ხელმძღვანელი ბ. ჭიაურელი), რომელიც ამა წლის მაისს მიწვეულია „პრაღის გაზაფხულზე" მონაწილეობის მისაღებად; მზარდი ანსამბლია აგრეთვე საფორტეპიანო ტრიო გ. ოქროპირიძის, ი. ჭეიშვილისა და რ. ასტახიშვილის შემადგენლობით. რაც შეეხება ხალხური ცეკვის ანსამბლს, მის გრანდიოზულ წარმატებებს ნათლად მოწმობს უცხო ქვეყნების „დიდი პრესა", რომელიც აღფრთოვანებას გამოთქვამს ამ ნიჭიერი ანსამბლის გამოსვლების გამო.

გამოცოცხლება დაეტყო საგასტროლო კონცერტებსაც. საშუალება მოგვეცა მოგვესმინა საბჭოთა კავშირის და უცხოეთის გამოჩენილი სამემსრულებლო ძალები: ზ. დოლუხანოვა, ანი ფიშერი და სხვ.

ფილარმონიას შეეძლო კიდევ უფრო ფართოდ გაეშალა ამ მხრივ თავისი საქმიანობა, სათანადო პირობები რომ ჰქონდეს. საქმე ის არის, რომ ასეთი დიდი რესპუბლიკური მნიშვნელობის ორგანიზაცია დღემდე მოკლებულია თავის საკუთარ საკონცერტო დარბაზს. მართლაც და, სერიოზულად ხომ ვერ მივიჩნევთ „საკონცერტო დარბაზად" იმ ძველ, უგვან ნაგებობას პლეხანოვის პროსპექტზე, ან იქვე ბაღში აგებულ „საზაფხულო თეატრს"? ფილარმონიის ღონისძიებათა ჩასატარებლად დღემდე იყენებენ კონსერვატორიის დიდ და მცირე საკონცერტო დარბაზებს, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზს და იშვიათ შემთხვევებში — საოპერო თეატრის შენობას. მაგრამ, ჯერ-ერთი, ეს დარბაზები სხვა დაწესებულებებს ეკუთვნის და, ცხადია, ფილარმონიის ინტერესებისათვის ისინი თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას ვერ შეზღუდავენ. გარდა ამისა, ამ დარბაზების ტევადობა (გარდა ოპერის თეატრისა) მეტად მცირეა, რაც არა მარტო უარყოფით გავლენას ახდენს ფილარმონიის შემოსავალზე, არამედ მუსიკის მოყვარულთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამასთან ერთად, ფილარმონია მოკლებულია საშუალებას წარმართოს თავისი ანსამბლების ყოველდღიური სარეპეტიციო მეცადინეობა.

მაგრამ საკუთარი შენობის უქონლობა მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი როდია საქართველოს ფილარმონიის მრავალი სამოღვაწეო დარგის ჩამორჩენილობისა. მხედველობაში გვაქვს არა სახელგანთქმული ანსამბლები გამოცდილი სპეციალისტების მეთაურობით, რომელთა მუშაობა ცალკეულ კრიტიკულ განხილვას მოითხოვს, არამედ სხვა საჭირბოროტო საკითხები.

ავიღოთ ფილარმონიის არტისტული ძალები, რაც 50-ძდე საშტატო ერთეულს შეადგენს. მეტი წილი ამ სოლისტებისა დღეს არ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნილებებს, რადგან მათ ამჟამად არც სათანადო „სცენური ფორმა" აქვთ და არც საჭირო კვალიფიკაცია. ბევრ მათგანს უდავო დამსახურება მიუძღვის ჩვენი ხელოვნების წინაშე. ამიტომ ჯერ მათი მოღვაწეობა უნდა დაფასდეს, მოეწყოს მათი შემოქმედებითი საღამოები და გულთბილი გამოთხოვების შემდეგ გადაყვანილ იქნან პენსიაზე. განთავისუფლებულ საშტატო ერთეულებზე კი უნდა გამოცხადდეს კონკურსი, რის შედეგადაც ფილარმონია შეიძენს ახალ, მაღალკვალიფიციურ კადრებს, რომლებიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება ჩვენში.

ფილარმონიას შეეძლო თავის „საშტატო არტისტებს" გარდა ჩვენი ნიჭიერი შემსრულებლების — ახალგაზრდა მომღერლების, ინსტრუმენტალისტების, კამერული ანსამბლების საკონცერტო გამოსვლების მოწყობა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში, მაგრამ ამ ფრიად საჭირო ღონისძიებას იგი ვერ ახორციელებს იმის გამო, რომ მსახიობთა მეტი ნაწილი მსახურობს საოპერო თეატრსა და კონსერვატორიაში. თუ პირველი, ასე თუ ისე, ახერხებს თავისი სოლისტების დათმობას, კონსერვატორია არსებული წესების გამო ამის შესაძლებლობას მოკლებულია. შედეგი კი ის არის, რომ თუ არა დეკადა ან რაიმე განსაკუთრებული, რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიება, ეროვნული სამემსრულებლო ძალები მოკლებული არიან თავიანთი ნიჭისა და უნარის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამოვლინების შესაძლებლობას.

ზოგიერთი იმ სოლისტების (ვოკალისტების) მიმართ, რომელნიც ხშირად გამოდიან კონცერტებზე, ფილარმონია ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს. როდემდის უნდა ვისმინოთ ერთი და იგივე ნაწარმოებები, რომელნიც, ზოგიერთის გარდა, მოსაბეზრებელი გახდა მსმენელთათვის?

ფილარმონია ნაკლებად ზრუნავს ჩვენი მსმენელის მხატვრულ-სამუსიკო გემოვნებაზე. ამ ბოლო დროს, სწორედ ფილარმონიის სასტრადო მსახიობთა წყალობით, გავრცელდა ვითომცდა „ქართული სასტრადო სიმღერები", რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ხალასი ქართული სიმღერის ბუნებასთან. რას არ მოისმენთ ამ სიმღერებში: მექსიკურ, ესპანურ, ბრაზილიურ, ბოშურ, საერთოდ „ჯაზურ" და სხვა ჯურის საკმაოდ გაცვეთილ ჰარმონიულ და რიტმულ მიმოქცევებს, „გულის ჩამგლეჯ" ჰანგებს გიტარების ენერგიული თანხლებით. არავინ შეიძლება იყოს ნამდვილი ხალხური უცხოური სიმღერის წინააღმდეგი. ჩვენი მსმენელი სიამოვნებით უსმენს ხალას მექსიკურ, ზანგურ, ფრანგულ, პოლონურ ან ინგლისურ სიმღერებს. არც გიტარის საწინააღმდეგო გვაქვს რაიმე. მაგრამ გადაჭრით დასაგმობია საეჭვო მხატვრული ღირებულების მქონე „პოეტურ" ტექსტებზე ქართული და უცხოური ჰანგების ის უგემოვნო და უხამსი „ჰიბრიდიზაცია", რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს დღევანდელ საკონცერტო პრაქტიკაში.

რახან ესტრადაზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ ეს დარგია დღეს მეტად სავალალო მდგომარეობაში; და ეს მაშინ, როდესაც გვყავს ისეთი ძალები, რომელთა სათანადო გამოყენება აშკარა წარმატებას მოუტანდა ქართულ ესტრადას იმ პირობით, თუ დაძლეული იქნება „სარეპერტუარო შიმშილი". მდარე ხარისხის ნაწარმოებებით კი, რაც ესტრადის მომღერალთა რეპერტუარის მოზრდილ ნაწილს შეადგენს, უკანასკნელნი შორს ვერ წავლენ. ნუთუ მეშჩანურ-სანტიმენტალური „ლირიკის" გარდა სხვა ვერავითარი თემა ვერ ჰპოვეს ავტორებმა? ზოგი მათგანი, საკუთარს რომ ვერაფერს საყურადღებოს ქმნის, ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდა კლასიკური მუსიკის ნიმუშების წაბილწვასაც არ თაკილობს, რისი მაგალითია თუნდაც აბესალომისა და მურმანის გენიალურ დუეტზე უტიფარი სასტრადო ნომრის აგება.

რა აზრი უნდა მოსთხოვოთ ვითომცდა იუმორის ასეთ „მარგალიტებს":

„ენაცვალოს მინადორა
დედობრივი მომენტით.
მართალია, ღვინოც უყვარს,
ენაცვალოს დომენტი.
საღამო ხანს იმართება
მხიარული კონცერტი,
ღამე შინ რომ არ ბრუნდება,
გამოგვივა დოცენტი".

ნუ იფიქრებს მკითხველი, თითქოს სასტრადო მახვილგონივრულობის ეს „ობოლი მარგალიტები" იშვიათი შემთხვევაა. სამწუხაროდ, ასეთ პოეტურ ნაჯღაბნს, შესაფერის მელოდიებთან ერთად, არცთუ ისე იშვიათად ვისმენთ.

დღეს ქართული ესტრადისათვის რაიმე ნომრის შექმნა, უმეტეს შემთხვევაში, ავსაშოვრად გადაიქცა. ანგარიში ეწევა არა მაღალხარისხიანობის მოთხოვნილებებს, არამედ მდარე გემოვნებას. „ხალხს მოსწონს"! — თავს იმართლებენ ასეთი ავტორები და ერთმანეთს ეჯიბრებიან ერთფეროვნობასა და უაზრობაში. მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირები კი ურიგდებიან ასეთ მდგომარეობას. ცნობილ პოეტებსა და კომპოზიტორებს სასტრადო ჟანრში მუშაობა ეთაკილებათ — „მდაბიო ჟანრიაო". ამით კი სარგებლობენ ხელოვნებაში შემთხვევითი ადამიანები და მისაბაძი გულმოდგინებით აცხობენ ქანცმილეულ „ლირიზმით" ან უკბილო მასხარობით გამორჩეულ „ქმნილებებს".

ამ ბოლო ხანს საკმაო რაოდენობით შეიქმნა ქართული მხატვრული სიმღერა რომანსი, მაგრამ მათი პოპულარიზაცია სავალალო მდგომარეობაშია. ორი წლის წინათ ფილარმონიამ მოაწყო ცნობილი მომღერლის ვერა დავიდოვას კონცერტი, რომლის რეპერტუარი შედგებოდა ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების რომანსებისაგან. ნიჭიერი მომღერლის მიერ უნაკლო, ემოციურმა შესრულებამ ბევრს დაანახვა ამ ნაწარმოებთა უდავო ღირსებები. რატომ არ შეიძლება ცნობილ მომღერალთა მონაწილეობით ასეთი კონცერტების გამართვა და მათი მრავალგზის გამეორება არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც? რატომ არ ეწყობა საგანგებო (აბონემენტსგარეშე) კონცერტები, მიძღვნილი ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების შემოქმედებისადმი? რატომ არ გაისმის ჩვენში აზერბაიჯანელი, სომეხი, უკრაინელი, ჩეხი, ფრანგი, იტალიელი, ამერიკელი ხალხების შესანიშნავი სიმღერები? მათ ხომ ნაკლები წარმატება არ ექნებათ, ვიდრე ფიგაროს კავატინას ან „ორ მერცხალს"? დროა ვიზრუნოთ რუსული და უცხოური ვოკალური ლიტერატურის ქართულად ახმოვანებაზე. განა ძნელია თბილისის სცენაზე არდადგმული საინტერესო ოპერების საკონცერტო შესრულება როიალის თანხლებით, მით უმეტეს, რომ საოპერო თეატრი დიდად არ გვანებივრებს თავისი რეპერტუარის ნაირფეროვნებით?

საქართველოში — სიმღერის ამ ქვეყანაში ერთხელაც არ მოწყობილა „სიმღერის დღესასწაული" ანუ „სიმღერის ფესტივალი" მსგავსად ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების შესანიშნავი ტრადიციებისა. განა სხვაზე ნაკლებად აჟღერდება ჩვენი მშობლიური ხალხური სიმღერები 2-3 ათასი კაცის შესრულებით. ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ საამისო ადგილს ან მომღერლებს ვერ ვიშოვნით?

ზოგიერთი დაწესებულების მესვეურთა აზრით, ფილარმონიის საქმიანობა ისე, როგორც რომელიმე უნივერმაღისა, შემოსავლის რაოდენობით ფასდება. გამოდის, რომ რაც მეტი აქვს ფილარმონიას შემოსავალი, მით უკეთესია მისი მუშაობა. მაგრამ „სალარო" მაშინ არის კულტურული დაწესებულების ხარისხოვანი მუშაობის მაჩვენებელი, როდესაც ამ ორგანიზაციის მთელი მოღვაწეობა სავსებით აკმაყოფილებს მასების გაზრდილ იდეურ-მხატვრულ მოთხოვნილებებს. ამ მხრივ კი საქართველოს ფილარმონიას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი.

ზოგიერთი საკითხის მოგვარებაში ფილარმონიას ზემდგომი ორგანოების რეალური დახმარება ესაჭიროება. მაგრამ თვით ფილარმონიამაც უნდა გამოიჩინოს სათანადო მოქნილობა, მონდომება და უნარი, რათა დროულად და ღირსეულად განახორციელოს მის წინაშე მდგომი რთული და საპატიო ამოცანები.

პავლე ხუჭუა.

„ცოცხალი პარიზი"

ასე ეწოდება საფრანგეთის მხატვრულ ფოტოგამოფენას, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების დარბაზში.

ათვალიერებთ ფრანგ ფოტოკორესპონდენტთა ნამუშევრებს, და თქვენს თვალწინ იშლება პარიზისა და მის მკვიდრთა ცოცხალი სახეები. აი თუნდ შეხედეთ ორი მოხუცი ქალის სურათს. ისინი ქუჩაში ისე გატაცებით საუბრობენ, რომ ვერც კი ამჩნევენ მოუთმენელ ძაღლს, რომელსაც პატრონისათვის წინა თათები მოუხვევია.

მიჰყვებით სტენდებს: აგერ ცნობილი ელისეს მინდვრები, მდინარე სენის სანაპიროები, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ლუქსემბურგის პარკი. ყველგან სიცოცხლე ჩქეფს. დაუსრულებლად მიედინება ავტომანქანების კოლონები. პარიზელები ისვენებენ, უყურებენ ესტრადას და სხვ.

გამოფენაზე აღბეჭდილი არიან პარიზელი მუშები, მოქალაქეები, ბალერინები. აგერ მხატვარი, რომელიც ქუჩაში პირდაპირ ნატურიდან ხატავს სურათს და აქვე ჰყიდის, პარიზელები ბირჟაზე, ქალაქის ცენტრალური ბაზარი, ნაჩვენები არიან რენოს ქარხნის მუშები კონვეიერთან და სხვ.

გამოფენა თბილისელთა დიდ ინტერესს იწვევს.

* * *

სურათზე: „ორი მოხუცი ქალის საუბარი".



10 მაისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საბჭოთა აზერბაიჯანის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი. **სურათზე:** კონცერტის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი ს. ასლანოვა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ნ. ანდღულაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები გ. ნიაზი, ო. დიმიტრიადი და რ. ბეიბუთოვი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. მუშკუდიანი.

ინფორმაცია „მეგობრობის კონცერტი" იხილეთ მე-4 გვერდზე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

ნახავთ, მოისმენთ...

სეზონი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დასასრულს უახლოვდება.

მიმდინარე სეზონი იხურება 29 მაისს ბალეტ „ოტელოთი". სეზონის განმავლობაში თეატრმა მაყურებელს უჩვენა მთელი რიგი საინტერესო სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ისეთი გამოჩენილი მსახიობები, როგორიც არის ვ. ჭაბუკიანი, და უცხოელი გასტროლიორები, მათ შორის შესანიშნავი ვოკალისტები შიმანდი, სტანესკუ, პოპოვიჩი, ვერნეი, ნიკოლოვი, მერლია, ეზიგარესკუ, პისო, ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლები — ჟუჟა კუნი და ვიქტორ ფიულეპი, ლიან დეიდე და მიშელ რენო, აგრეთვე მთელი რიგი სხვა გასტროლიორები.

სეზონის ბოლომდე მოეწყობა ეერმენ ჰაინე ვაგნერის გასტროლები. ეს შესანიშნავი მომღერალი ქალი ჩვენმა საზოგადოებამ დააფასა და შეიყვარა წინა სეზონში გამოსვლებით.

თეატრში ამჟამად ენერგიული მზადებაა მომავალი საზაფხულო გასტროლებისათვის ქუთაისში, სოხუმსა და სოჭში, სადაც თეატრი სრული შემადგენლობით მიემგზავრება. ქუთაისსა და სოხუმში გასტროლებთან ერთად გაიმართება პარალელური სპექტაკლები ჭიათურაში, ზესტაფონში, ტყიბულში, სამტრედიაში, ცხაკაიაში, გალში, ფოთში, ოჩამჩირესა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში.

თეატრმა დაიწყო მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის. მიმდინარეობს ქართველ საბჭოთა კომპოზიტორების ახალი ოპერების შესწავლა.

ახლო მომავალში დაიწყება მუშაობა კომპოზიტორ ს. ცინცაძის ახალი ბალეტის „დემონის" დასადგმელად. მომავალი სეზონისათვის განზრახულია გამოშვებულ იქნას რამდენიმე სერია აბონემენტები. თეატრი უზრუნველყოფს საბაბონემენტო სპექტაკლებში საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობას.

ПРОВОКАТОРЕБИ

პროვოკატორები —სამარცხვინო ბოძზე

მსოფლიო პროგრესული საზოგადოებრიობა კვლავ მრისხანე აღშფოთებას გამოთქვამს ამერიკის სამხედრო ხროვის პროვოკაციის გამო

ჩინური გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო" წერს, რომ ფაქტი ამერიკის თვითმფრინავის შეჭრისა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ერთხელ კიდევ ამხილებს ამერიკის იმპერიალიზმის არა მარტო აგრესიულ ხასიათს, არამედ მის დანაშაულებრივ მეთოდებსაც. ეხება რა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პირველ განცხადებას, გაზეთი წერს, რომ ვაშინგტონში აშკარად ჰქონდათ იმის იმედი, რომ რაკი თვითმფრინავი და მფრინავი დაიღუპნენ, მათ შეუძლიათ თავი დაიძვრინონ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეთა მეორე განცხადება, რომელშიც ისინი იძულებული არიან აღიარონ, რომ ამერიკის თვითმფრინავი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აგროვებდა ჯაშუშურ სამხედრო ცნობებს, და ამავე დროს ცდილობენ გამოძებნონ ახალი არგუმენტები თავის გასამართლებლად, წერს გაზეთი, კიდევ უფრო არცხვენს ამ განცხადების ავტორებს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი რომ ცდილობს ასეთი ჯაშუშური საქმიანობა დასახოს, როგორც „კანონიერი ეროვნული თავდაცვის" ღონისძიება საბჭოთა კავშირის „მეტისმეტი საიდუმლოებისა გამო", ეს სავსებით ამხილებს იმ ჭორებს, რომ „ფრენის ნებართვა მიცემული არ ყოფილა". ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისთვის სამარცხვინოდ არ მიაჩნიათ „ეროვნული თავდაცვის" საბაბით აშკარად აწარმოონ ჯაშუშური საქმიანობა სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ და შეიჭრან მათს საჰაერო სივრცეში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასეთ საზიზღარ ხერხებს პირველად როდი მიმართეს, არამედ სისტემატურად იყენებენ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" წერს, რომ ამერიკის თვითმფრინავის აგრესიული შეჭრა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში, რაც ჩადენილია უშუალოდ უმაღლეს დონეზე თათბირის წინ, მიმართულია ამ თათბირის წინააღმდეგ, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებას. ყველა ქვეყნის პატიოსანი ადამიანები, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, აღშფოთებული არიან „ცივი ომის" გაღვივების ახალი ცდის გამო.

პარიზის გაზეთი „მონდი" აღნიშნავს, რომ ვაშინგტონმა დაიწყო იმით, რომ ყველაფერს უარყოფდა და გამოიგონა ჟანგბადის ნიღბის ისტორია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მამხილებელი საბუთებით, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოადგინა, ფაქტები აღიარა. „უმაღლეს დონეზე თათბირამდე 8 დღით ადრე, — წერს გაზეთი, — მსოფლიოს ორ უდიდეს ქვეყანას შორის ერთ-ერთი აშკარად დაბნეულია". „მონდი" იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამერიკელ „ოფიციალური ორგანოებისათვის ახლა თუნდაც რამდენიმე ხნის განმავლობაში ძნელი იქნება ილაპარაკონ თავიანთ გულწრფელობაზე".

„დაბნეულობა და უნდობლობა ვაშინგტონში, ირონია და სარკაზმი მოსკოვში, სენსაცია მთელ მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ „აღიარების" შემდეგ, რომ სსრ კავშირში პირველ მაისს ჩამოგდებული თვითმფრინავი მართლაც ეწეოდა „დაზვერვით ფრენას", — ასეთ რეზიუმეს უკეთებს უკანასკნელ ცნობებს მეორე ფრანგული გაზეთი — „ფრანს-სუარი".

შვედური გაზეთების უმეტესობა მკვეთრად გმობს ამერიკის პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. გასული შაბათი მძიმე დღე იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებისათვის, წერს ბურჟუაზიული გაზეთი „გეტებორგს ჰანდელს ოკ შეფარტსტიდნინგი". ხრუშჩოვის სიტყვის შემდეგ, რომელშიც მან მოიყვანა დაწვრილებითი და უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები, ამერიკის მხარის წინანდელი ოფიციალური ახსნა-განმარტება სულელური და სახელის გამტეხი გეჩვენება. აღარავითარი ეჭვი არ არის, რომ თვითმფრინავის ფრენა წინასწარ განზრახული იყო და რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცადეს სამხედრო ჯაშუშობა. სახელმწიფო დეპარტამენტს მეტი გამოსავალი არ დარჩენოდა, თუ არ ეღიარებინა, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავი ჯაშუშურ დავალებას ასრულებდა. უმაგალითო სისულელე ფაქტი გახდა. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნიუ ტიდი" მოწინავე სტატიაში წერს: უდავოა, რომ ამერიკის თვითმფრინავის ამბავი მეტისმეტად უჭკუოა და საშიშია, განსაკუთრებით ახლა, უმაღლეს დონეზე თათბირამდე რამდენიმე დღის წინ.

ლიბანის გაზეთი „ას-სიასა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის თვითმფრინავი საბჭოთა კავშირში შეგზავნილი იყო უმაღლეს დონეზე თათბირის წინ და წერს, რომ „ამერიკის ჯაშუშურმა ოპერაციამ, უეჭველია, უდიდესი ზიანი მიაყენა იმ კეთილმოსურნეობის სულისკვეთებას, რომელიც საჭიროა ექნეს პარიზის მომავალი თათბირის ყველა მონაწილეს".

იაპონიის რადიომ გადასცა გაზეთ „მაინიჩის" მიმომხილველის კაძუო ასამის კომენტარები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის გამო. როცა 1 მაისს, აცხადებს მიმომხილველი, ამერიკის თვითმფრინავი ჩამოაგდეს, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინტენსიურ ჯაშუშობას ეწევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამრიგად ფაქტები იძლევიან სერიოზული ეჭვების საბაბს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანობის მიზანია მთელ მსოფლიოში შეიქმნას ისეთი ვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას.

დამასკოში გამომავალი გაზეთი „ანასრი", წერს: საბჭოთა ტერიტორიაზე ამერიკის თვითმფრინავის მოსპობის შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ამერიკის არმიას ჰყავს ისეთი ხელმძღვანელები, რომელთაც შეუძლიათ გასცენ ბრძანებანი, რაც ეწინააღმდეგება ამ ქვეყნისავე ინტერესებს და საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ურუგვაის გაზეთი „პოპულარი" წერს: „მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღშფოთებით შეხვდა ცნობას საზიზღარი პროვოკაციის შესახებ, რაც ამერიკის იმპერიალიზმმა ჩაიდინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჯაშუშებსა და პროვოკატორებს დანაშაულზე წაუსწრეს. შეერთებული შტატების პენტაგონი და სამხედრო ხროვა მხილებულია. მხილებულია მათი ბინძური მიზნები გაართულონ საერთაშორისო ვითარება უმაღლეს დონეზე თათბირის წინ". ხალხები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის გაბედულ და მტკიცე პოზიციას, რომელმაც ახალი წვლილი შეიტანა საერთაშორისო მშვიდობის საქმეში და ამხილა სამხედრო დაჯგუფებანი, რომელთაც შესწევთ ისეთი პროვოკაციის უნარი, როგორიც არის თვითმფრინავის „უ-2" ფრენა, პროვოკაცია, რომლის მიზანია უმაღლეს დონეზე თათბირის საბოტაჟი. (საკდესი).

დაბნეულობა კონგრესში

ვაშინგტონი, 10 მაისი. (საკდესი). ამერიკის დაზვერვის მარცხმა, რომელმაც საბჭოთა კავშირში ჯაშუშური დავალებით შეგზავნა თვითმფრინავი, კონგრესში კვლავ გამოიწვია დაჟინებითი მოთხოვნები — მოახდინონ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (რომელსაც ალენ დალესი მეთაურობს) საქმიანობის გამოძიება. ჯერ კიდევ 1958 წელს დემოკრატ სენატორთა ჯგუფმა სენატორ მენსფილდის მეთაურობით მოითხოვა მოეხდინათ ასეთი გამოძიება და ამასთანავე აღინიშნა, რომ კონგრესმა უნდა იცოდეს, როგორ იხარჯება და რა მიზნით იხარჯება ის კოლოსალური თანხები, რაც ყოველწლიურად გამოყოფილია დაზვერვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტით. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო ამასთან დაკავშირებით იუწყებოდა, რომ ორგანიზაცია, რომელსაც ალენ დალესი მეთაურობს, ყოველწლიურად იღებს დაახლოებით 400 მილიონ დოლარს ანგარიშმიუგებელი ხარჯებისათვის.

უპასუხა რა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამერიკის დაზვერვის მარცხის გამო, სენატორმა იუჯინ მაკარტიმ (დემოკრატი მინესოტის შტატიდან) ოფიციალურად წამოაყენა წინადადება, რომ შეიქმნას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის სპეციალური გაერთიანებული კომისია, რათა გამოიძიონ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მთელი საქმიანობა.

ეს განწყობილება კონგრესში გამოვლინდა მაშინაც, როცა სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ორივე პარტიის ლიდერები საიდუმლოდ შეხვდნენ სახელმწიფო მდივანს ქ. ჰერტერსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორს ალენ დალესს. „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი ალენ დალესი, — წერს დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსი", — შეეცადნენ გაეფანტათ ის შეშფოთება, რაც გამოიწვია „უ-2" თვითმფრინავის ინციდენტმა და ამ მიზნით გამართეს საათნახევრიანი საიდუმლო საინფორმაციო თათბირი.

ჰერტერი ჩიხში

ვაშინგტონი, 9 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, როგორც მან თქვა, „შევსებული და განმარტებულია" სახელმწიფო დეპარტამენტის წინა განცხადება ამერიკის თვითმფრინავის პროვოკაციული გაფრენის შესახებ საბჭოთა კავშირში ჯაშუშური ცნობების შესაგროვებლად.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადება აშკარა ცდაა დააკანონოს და გაამართლოს სხვა სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვრების დარღვევა ჯაშუშური ცნობების შეგროვების მიზნით.

ამასთან სახელმწიფო მდივანი საზიზღარი დანაშაულის გასამართლებლად ისეთ „წმინდა" მოტივებს მიმართავს, როგორიცაა... „პასუხისმგებლობა არა მარტო ამერიკელი ხალხის წინაშე, არამედ აგრეთვე თავისუფალი ხალხების წინაშე ყველგან".

იმიზეზებს რა მოჭორილ უეცარი თავდასხმისა და აგრესიის მუდმივ საფრთხეს", რომელიც თითქოს მოელით ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჰერტერი ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატების მთავრობის მოვალეობაა „განახორციელოს ყოველგვარი ღონისძიებანი ცალმხრივი წესით ამ საფრთხის შესამცირებლად და აღმოსაფხვრელად".

განცხადებაში ნათქვამია, რომ ახლანდელი რესპუბლიკური მთავრობის არსებობის დასაწყისიდან (1953 წლიდან. — რედ.) პრეზიდენტმა გასცა დირექტივა აგროვონ ყველა შესაძლო გზით ინფორმაცია, რომელიც საჭიროა შეერთებული შტატების დასაცავად უეცარი თავდასხმისაგან".

ამ დირექტივების შესასრულებლად, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში შეერთებული შტატები სხვადასხვა სახეობის დაზვერვითს საქმიანობას ახორციელებენ, „მათ შორის ფართოდ იყენებენ აეროფოტოგადაღებას, ჩვეულებრივ პერიფერიული ხასიათისას, მაგრამ დროდადრო აგრეთვე შეღწევის გზით" (ტერიტორიის სიღრმეში). ცდილობს რა დაფაროს ის ფაქტი, რომ პროვოკაცია შეუფარდეს უმაღლესი დონის პარიზის თათბირს, სახელმწიფო მდივანი ამტკიცებს, რომ თვითმფრინავის ინციდენტი, რომელიც შეფრინდა საბჭოთა ტერიტორიის სიღრმეში, თითქოს „ზიანს არ აყენებდეს მომავალ პარიზის თათბირს". პირიქით, ამტკიცებს ჰერტერი, ეს ინციდენტი იმას შეუწყობს ხელს, რომ ნათლად დაანახოს მთელ მსოფლიოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს გულწრფელ ცდას — ამ თათბირზე მიღწეულ იქნას შეთანხმებული და ეფექტიანი გარანტიები უეცარი თავდასხმისა და აგრესიის წინააღმდეგ".

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი „გულწრფელობაზე" ლაპარაკობს! რომელმა მხარემ უნდა გამოიჩინოს გულწრფელობა პირველ რიგში?

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები ცნობები მიმოხილვა

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ **ჩინეთის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა ჰენჯოუში მიიღო ერაყის კულტურული დელეგაციის, ერაყის მუშათა დელეგაციის, ირანის პროფკავშირული დელეგაციისა და კვიპროსის მშრომელთა კონფედერაციის დელეგაციის წევრები, რომლებიც ჩინეთში სტუმრად იმყოფებიან.

◆ **საბჭოთა** დიდოსტატებმა დ. ბრონშტეინმა და ბ. სპასკიმ, რომლებიც ურუგვაის მოჭადრაკეთა ფედერაციამ მიიწვია, მონტევიდეოს და ქალაქ პაისანდუში 8 დღეს ყოფნის დროს გამართეს ერთდროული თამაშის მთელი რიგი სეანსები და შეხვდნენ ურუგვაის უძლიერეს მოჭადრაკეებს. საბჭოთა მოჭადრაკეების გამოსვლებმა სპორტული საზოგადოებრიობისა და პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია.

◆ **ოფიციალური** მონაცემებით ამა წლის პირველ კვარტალში მალაიამ გაიტანა 10 პროცენტით ნაკლები კაუჩუკი, ვიდრე გასული წლის უკანასკნელ კვარტალში. კაუჩუკის ექსპორტის მკვეთრი შემცირება ძირითადად იმით აიხსნება, რომ შეერთებულმა შტატებმა თავიანთი კაუჩუკის მარაგი გამოუშვეს მსოფლიო ბაზარზე.

◆ **როგორც** ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, აიდლუაილდის აეროპორტში (ამერიკის შეერთებული შტატები) დაიმსხვრა რეაქტიული სატრანსპორტო თვითმფრინავი „ბოინგ-707", რომელიც „ტრანს-უორლდ ეირლაინსის" კომპანიას ეკუთვნოდა.

◆ **ბუდაპეშტში** გაიხსნა მოძრავი გამოფენა ხელსაწყოებისა, რომლებსაც იყენებენ მეცნიერული კვლევის დროს სოფლის მეურნეობაში. გამოფენაში მონაწილეობს 5 ქვეყანა — საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გამოფენაზე სულ წარმოდგენილია 1.200-მდე ხელსაწყო. აქედან 450 ხელსაწყოზე მეტი წარმოებულია საბჭოთა კავშირში და დაახლოებით 250 — უნგრეთში.

მდგომარეობა სამხრეთ კორეაში

ფხენიანი. 10 მაისი. (საკდესი). როგორც სამხრეთ კორეიდან იუწყებიან, დღეს სეულის, ტეგუს და სამხრეთ კორეის სხვა ქალაქების ათეულ ათასობით სტუდენტმა მოითხოვა გაწმინდონ უმაღლეს სასწავლებელთა ადმინისტრაცია და მასწავლებელთა შემადგენლობა მოსყიდული პროლისინმანელი ელემენტებისაგან.

სიკვდილით დასჯა ირანში

ბაღდადი, 9 მაისი. (საკდესი). ირანის პრესაში გამოქვეყნდა ირანის სამხედრო პროკურატურის ცნობა, რომ 4 მაისს თებრიზში დახვრიტეს ხუთი სამოქალაქო პირი — აიუბ იბრაჰიმ კალანტარი, ჯავად ჰეიდარ ფორუგი ოლიასი, აბოლფათხ ზაჰთაბ სერალი, ხოსროვ მოჰამედ ბაგერ ჯაჰანბარ აზერი, აგრეთვე ალი ჰასან აზიმ-ზადე ჯავადი. იმავე ცნობაში ნათქვამია, რომ 17 კაცს მიესაჯა სხვადასხვა ვადის პატიმრობა და საკატორღო მუშაობა.

როგორც სამხედრო პროკურატურის ცნობიდან ჩანს, ყველა ამ პირს ბრალად ედებოდა, რომ ისინი ცდილობდნენ „განეხორციელებინათ ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის მიზნები და „შთაგონებული იყვნენ კომუნისტური იდეებით". მათი საქმე გაირჩა სამხედრო სასამართლოში დახურულ სხდომაზე.

«მიწისძვრა» ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 11 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ტ. შიშკინი გადმოგვცემს: „ცნობები ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავის შესახებ შეერთებულ შტატებს ისე დაატყდა თავს, როგორც მიწისძვრის მთელი რიგი თანამიმდევრული ბიძგები, ისიც ისეთი ინტერვალით, რომ ოდნავი შესაძლებლობაც კი არ იყო გონს მოსულიყვნენ ბიძგებს შორის, რომელთაგან თითოეული უფრო ძლიერი იყო წინანდელზე". — ასე შეაჯამა ყოველკვირეულმა „ნიუსუიკმა" საბჭოთა კავშირში ამერიკის ჯაშუშის სახელგატეხილი ფრენის ისტორია.

ამერიკის დედაქალაქში, წერს „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდის" მიმომხილველი მარდერი, „იზრდება კითხვების პირამიდა, რომლებიც უპასუხოდ რჩება". მაგალითად, დღემდე მთავრობას არავითარი დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება არ მოუცია, თუ ვინ მისცა სანქცია ამ პროვოკაციულ ფრენას უმაღლეს დონეზე თათბირის წინ.

ვაშინგტონის უცხოელი დიპლომატიური და პოლიტიკური წრეები განსაკუთრებით ძლიერ არიან შეშფოთებული იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი და სახელმწიფო მდივანი ჰერტერი ამართლებენ ჯაშუშობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ისწრაფვიან საბჭოთა საზღვრების პროვოკაციული დარღვევა კანონად საერთაშორისო სამართლის ნორმად გადააქციონ. ფაქტიურად, აღნიშნავს ვაშინგტონის გაზეთ „ნიუსის" მიმომხილველი ტეილორი, ჰერტერი „მსოფლიოს წინადადებას აძლევს დათანხმდეს იმაზე, რომ შეერთებული შტატები მთელ მსოფლიოში ასრულებდნენ მოდარაჯე ძაღლის როლს, ამასთან არა ფარული, არამედ თვითმარქვია პოლიციელის აშკარა როლს, რომელსაც რუსებმა დანაშაულზე წაუსწრეს".

ბევრი ვაშინგტონელი დიპლომატიური და პოლიტიკური მეთვალყურის აზრით, შეერთებული შტატების ეს მისწრაფება გაამართლონ და დააკანონონ საბჭოთა კავშირის საზღვრების დარღვევა მთელი მსოფლიოსათვის უდიდეს საფრთხეს შეიცავს. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი", აღნიშნავს რა სარედაქციო სტატიაში, რომ ყველა სახეობის ჯაშუშობას „პროვოკაციული ხასიათი აქვს", წერს: „მაგრამ ჯაშუშობა, რომელსაც თვითმფრინავის დახმარებით ეწევიან, საფრთხის განსაკუთრებულ ელემენტს შეიცავს და ამ მიზეზის გამო ჯაშუშური თვითმფრინავის ინციდენტს განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ამგვარი საჰაერო ექსკურსიები დაუდევრობის შედეგად გამოიწვევენ შეტაკებას".

როგორც მიმომხილველი ტეილორი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, ვაშინგტონის დიპლომატიურ წრეებში მიაჩნიათ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გაკეთებულმა გაფრთხილებამ ამერიკის თვითმფრინავების პროვოკაციული ფრენის საფრთხის შესახებ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.



ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მრეწველობა აწარმოებს დიდ დანადგარებსა და მანქანებს ჰიდროელექტროსადგურებისათვის.

სურათზე: ჩეხოსლოვაკიის უდიდესი ჰიდრომშენებლობის — ორლიკის კაშხალისა და ელექტროსადგურის მილსადენის დეტალები. მათი წონა 150 ტონაზე მეტია. ბლანსკოს მანქანათმშენებელი ქარხნიდან ორლიკში მათი გადატანა ხორციელდება ექვსი სპეციალური შასით.

ფოტო ტ. ბიცანისა.
(ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო).

ჰეს ჰოლის განცხადება

ნიუ-იორკი, 11 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰეს ჰოლმა გააკეთა განცხადება პრესისათვის, რომელშიც დაგმო ამერიკის თვითმფრინავის პროვოკაციული შეჭრა სსრ კავშირის ფარგლებში ჯაშუშური ცნობების შესაგროვებლად.

განცხადებაში ნათქვამია: ეს პროვოკაციული აქტი, რომელიც ომის დაწყების საფრთხეს ქმნის, არ შეიძლება იზოლირებულ შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს. ეს არის ნაწილი უმაღლესი დონის თათბირის წინ ატმოსფეროს მოწამვლის გეგმისა, რომელსაც ახორციელებენ ცივი ომის დალესის კურსის მუზლმაგარი მომხრეები.

„თვითმფრინავის ინციდენტი, — ნათქვამია შემდეგ ჰოლის განცხადებაში, — საგანგაშოდ მოგვაგონებს, რომ „პრევენტიული ომის" განწყობილება ჩვენში ჯერ კიდევ მეტად ძლიერია. ეს მოგვაგონებს, რომ არიან გავლენიანი ძალები, კერძოდ ადამიანები, რომლებიც მდიდრდებიან ცივი ომის შედეგად, ცივი ომის მომხრენი სახელმწიფო დეპარტამენტსა და პენტაგონში და ავბედითი ზესაიდუმლო ცენტრალური დაზვერვითი სამმართველო ალენ დალესის მეთაურობით, რომლებიც დიდად არიან შეშფოთებული მშვიდობისათვის მოძრაობის წარმატებებით და მზად არიან ყველაფერი ჩაიდინონ, რათა ჩაშალონ უმაღლესი დონის თათბირი, თუნდაც ამით ომი გამოიწვიონ". ჰოლმა მოუწოდა მოაწყონ ამ ინციდენტის ყოველმხრივი გამოკვლევა და „მოიშორონ ყველა, ვისაც ამ ინციდენტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება".

„წიგნი და ოცნება"

ფოტოეტიუდი ა. ადამოვისა.

დაფნის გვირგვინი —მიხეილ ტალს

10 მაისს მოსკოვში, პუშკინის სახელობის თეატრში საზეიმო ვითარებაში დაიხურა მსოფლიო საჭადრაკო პირველობის მატჩი დიდოსტატ მიხეილ ბოტვინიკსა და დიდოსტატ მიხეილ ტალს შორის.

...პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან მატჩის მონაწილეები — მსოფლიო ჩემპიონი დიდოსტატი მიხეილ ტალი და მსოფლიო ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი მოჭადრაკეები. საზეიმო კრება გახსნა მატჩის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ნ. რომანოვმა. მან გულითადად მიულოცა მიხეილ ტალს დამსახურებული გამარჯვება.

სიტყვა წარმოთქვა მატჩის მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო დიდოსტატმა გედეონ შტალბერგმა (შვეცია). მან თქვა:

— ხანგრძლივი, დაძაბული ბრძოლა დამთავრდა; ჩვენ ახლა გვყავს ახალი მსოფლიო ჩემპიონი. შეუპოვარ ბრძოლაში მიხეილ ტალმა მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება. მან მოიგო მატჩი ანგარიშით 12,5:8,5. ტალმა მოიგო ექვსი პარტია, ცამეტი პარტია ყაიმით დამთავრდა. ბოტვინიკმა მოიგო ორი პარტია.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) სახელით სიტყვა წარმოთქვა ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა მარსელ ბერმანმა (საფრანგეთი).

ჯეროვანი პატივი მიაგო რა მსოფლიო ექს-ჩემპიონს მიხეილ ბოტვინიკს, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შვეციის საჭადრაკო ფედერაციამ დააჯილდოვა მ. ტალი ოქროს მედლით, რაც საპატიო ჯილდოა მოჭადრაკისათვის.

დაიწყო დაჯილდოების ცერემონია. ავანსცენაზე გამოვიდა მიხეილ ტალი. მარსელ ბერმანმა მას გულზე მიაბნია ოქროს მედალი, ხოლო შემდეგ გედეონ შტალბერგთან ერთად შეამკო დაფნის გვირგვინით.

— საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის სახელით, — განაცხადა ბერმანმა, — ვაცხადებ მიხეილ ტალს (საბჭოთა კავშირი) მსოფლიო ჩემპიონად ჭადრაკში.

მსოფლიო ჩემპიონს მიხეილ ტალს მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე ვლადიმერ ალატორცევი, ბულგარეთის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელი ზაქარია სტანჩევი, პოლონეთის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელი ვლადისლავ ლიტმანოვიჩი, ლატვიის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელი ფრიც როკპელნისი.

სიტყვა წარმოთქვა მსოფლიო ჩემპიონმა მიხეილ ტალმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. გულწრფელი მადლობის პირველი სიტყვები მან მიუძღვნა თავის ამასწინანდელ მეტოქესა და მასწავლებელს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მიხეილ ბოტვინიკს. (საკდესი).

მეგობრობის კონცერტი

თბილისელი მსმენელები დიდი ინტერესით შეხვდნენ მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტს, რომელიც 10 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა. ორკესტრმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის გ. ნიაზის დირიჟორობით დიდი ოსტატობით შეასრულა აზერბაიჯანული ეროვნული საოპერო ხელოვნების შედევრის — უზეირ ჰაჯიბეკოვის „ქოროღლის" უვერტიურა და ვალსი—ადაჟიო ყარა ყარაევის ბალეტ „შვიდი მზეთუნახავიდან". წარმატება ხვდა აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულ არტისტს სარა კადიმოვას, რომელმაც აზერბაიჯანული ხალხური ინსტრუმენტალური ტრიოს წევრების — აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტის მურადოვის (თარი), ალიევის (ქამანჩა) და მამედოვის (დაირა) თანხლებით შთაგონებულად შეასრულა მელოდიური აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „აი დილ-ბერ", ვასიფ ადი გეზალოვის სიმღერა „რატომ დამივიწყე?" და არაბული ხალხური სიმღერა „ჩემი ოცნების შუქო". მაღალი ვოკალური კულტურა გამოამჟღავნა აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულმა არტისტმა სონა ასლანოვამ.

მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება ხვდა ცნობილ აზერბაიჯანელ სასტრადო მომღერალს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს რაშიდ ბეიბუთოვს, რომელმაც პოპულარულ აზერბაიჯანულ საესტრადო სიმღერებთან ერთად შეასრულა ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის სიმღერა თბილისზე.

საბჭოთა აზერბაიჯანის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატებთან ერთად მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი შემსრულებლები — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თენგიზ მუშკუდიანი, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები ნოდარ ანდღულაძე, ნათელა ტუღუში და სხვები.

დ. გველესიანი.

სპორტი

ქართველ მოჭადრაკეთა გამარჯვება

გუშინ დამთავრდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება.

უკანასკნელი მეოთხე ტურის წინ მატჩის ანგარიში იყო 12:12. ამიტომ დასკვნითი შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. ეს შეჯიბრება მოეწყო 11 მაისს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

ოსტატმა გურგენიძემ დაამარცხა რადოვიჩი, შიშოვმა — გიცესკუ, გაფრინდაშვილმა — ტეოდორესკუ. ბუსლაევდრიმერის პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

საღამოს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ტოგონიძემ ძლიერად ჩაატარა პარტიის დასკვნითი ნაწილი და თავის გუნდს 1 ქულა შემატა. მან დაამარცხა პოლიხრონიადე. შოოშჯანოვის, ნიკოლაუ-კაკაბაძისა და იზვოზჩიკოვ-გეორგიუს პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეოთხე ტურის შედეგია 6:2 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

ამრიგად, პირველი საერთაშორისო მატჩი ჭადრაკში ისეთ გამოცდილ კოლექტივთან, როგორიც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდია, საქართველოს მოჭადრაკეებმა მოიგეს საერთო ანგარიშით 18:14. ჩვენს გუნდს ყველაზე მეტი ქულა (სამ-სამი) მისცეს გაფრინდაშვილმა და კაკაბაძემ. სტუმრებიდან 3 ქულა შეაგროვა შოოშმა.

საერთაშორისო მატჩი ჭადრაკში საზეიმოდ დაიხურა.

ხალხის განაჩენი

სასამართლოს დარბაზიდან

ვარშამ ირიციანმა და ვლადიმერ ელიზბარიანმა პატიოსან შრომას ავკაცობა, ბანდიტობა და მკვლელობა არჩიეს. რამდენიმე ბნელი ღამე, ბნელი საქმე, და მილიონერები გავხდებითო, ასე გადაწყვიტეს ზნედაცემულმა ადამიანებმა და მიზანში მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და კოოპერატივის სალაროები ამოიღეს.

— მოლარეების თავიდან მოცილება იოლი საქმეა, მაგრამ რაიონის მილიციის მუშაკ ალექსი ქლენტს რა მოვუხერხოთ? თან ეჭვის თვალითაც გვიყურებს, — უთხრა ერთ დღეს „ძმადნაფიცს" ვ. ირიციანმა.

— მაგან ჩაგაფიქრა? — უპასუხა ელიზბარიანმა. — ჩემი მეზობელია, ღამით როგორმე გამოვიყვან, ცული მარჯვედ მოიქნიე და...

ასეც მოიქცნენ...

იმ საღამოს შემდეგ ალექსი ქლენტი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მხოლოდ ათი დღის შემდეგ მიაგნეს. ბანდიტებს მისი გვამი მეურნეობის ბამბუკის პლანტაციაში გადაეტანათ და მიწითა და თოვლით დაეფარათ.

სწორედ იმ ხანებში მეურნეობის მუშებმა მუშაობის დროს შემთხვევით ნახეს ხერელად დამარხული, ექვსი თვის წინათ დაკარგული მეურნეობის მუშის რიმა საკაიანის გვამი.

ორივე მკვლელობა ალბათ დიდხანს იქნებოდა საიდუმლოებით მოცული, რომ რაიონის მილიციის მუშაკებს ამ მეურნეობაში მომუშავე ქალი მარიამ დიმიტრიევა არ დახმარებოდათ. დიმიტრიევა რიმა საკაიანის დაკარგვამდე მასთან ერთად ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში. კარგად ახსოვდა, ექვსი თვის წინათ ერთ საღამოს ავადმყოფი ახალგაზრდა ქალი ირიციანმა მანქანით რომ წაიყვანა მახარაძის რაიონულ საავადმყოფოში. რიმა ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულა.

მახარაძის მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა ფარდა ახადეს ირიციანის ამ საშინელ ბოროტმოქმედებას.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გასვლელმა სესიამ ა. ტაკიძის თავმჯდომარეობით განიხილა ვარშამ ირიციანის და ვლადიმერ ელიზბარიანის საქმე და მკვლელებს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

შ. ესიტაშვილი.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 14 მაისს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

12 მაისი

თეატრები: ოპერისა და ბალეტის — დონ-კიხოტი (მე-13 აბონ. მე-10 წარმ.), რუსთაველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია, მარჯანიშვილის სახელობის — ორი ფერი, გრიბოედოვის სახელობის — ჰიპა წყალი, სანკულტურის — [illegible] ლის სახელობის საკონცერტო დარბაზი — გიუნტერ კოტცის კონცერტი — როიალი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ტელევიზია: 19.00 — „ყველაზე პატარებისათვის" — ფილმი-ზღაპარი, 19.25 — რეპორტაჟი თბილისის ცენტრალური უნივერმაღიდან, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — თბილისის რკინიგზის სახლთან არსებული სახალხო თეატრის სპექტაკლი „ხარატაანთ კერა" (ტრანსლაცია თბილისის რკინიგზელის სახლიდან). ანტრაქტში უკანასკნელი ცნობები.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-68-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, ხაზდივნისა — 8-81-65, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღებისა — 3-64-42.

უე 02728

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.